

ნოჯიხური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ

ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი №32 ღვინობისთვე, 2014

შენც დაიჯერებ ამ ჩემს სალოცავს — საქართველოა გადასარჩენი!!!

25 წლის წინ, 1989 წ. 13 ოქტომბერს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან, სამშობლოს უბოროტესმა მტრებმა ვერაგულად მოკლეს საქართველოს ეროვნული გმირი — მერაბ ივანეს ძე კოსტავა.



მერაბ კოსტავას დაღუპვა ავტოკატასტროფაში 1989 წლის 13 ოქტომბერს იყო კარგად მოფიქრებული და უნაკლოდ განხორციელებული ოპერაცია. გარდა იმისა, რომ მტერმა ანგარიში გაუსწორა თავისუფლების გმირს, ეს ქმედება მიმართული იყო ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგაც. მერაბის პიროვნული სუბსტანცია მამულის მსახურების და გმირობის ზრახვას აღვიძებდა ხალხში, მისი უდიდესი ავტორიტეტი აიძულებდა თვით არასტაბილურ, მერყეევ ადამიანებს არათუ უსარგებლონი დარჩენილიყვნენ მტრისთვის, არამედ ისევ ეროვნული მოძრაობის წისქვილზე დაესხათ წყალი. მერაბის გამოთიშვით გაჩნდა შესაძლებლობა ერთიანი, ანტიეროვნული ფრონტის შექმნისა, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ როგორც ბორითი, ისე ჯიხაშკარი ერთი და იმავე გეგმის სხვადასხვა რგოლებს წარმოადგენენ.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

ქრისტეს ახოვანი მხედრები

355 წლის წინ (1659 წ) მოხდა ბახტრიონის აჯანყება. უფალმა კახეთის მთავარს, ბიძინა ჩოლოყაშვილს კეთილი განზრახვა შთააგონა: მან არაგვისა და ქსნის ერისთავებთან ერთად თავს იდვა კახეთის გათავისუფლება თათართაგან... მათ ქუდზე კაცს უხმეს, შეყარეს თუშნი, მთიულნი, მცირედ კახნი... უმთვარო ღამეს მთა გადაიარეს, ახმეტა ჩავლეს და მოულოდნელად დაეცნენ თავს ბახტრიონს დაბანაკებულ თათრებს. იმავე დღეს ალავერდობის დღესასწაულზე მიუხდნენ ალავერდს მყოფ ყიზილბაშებს და ისე გაანადგურეს, რომ არდალანის სულთანმა სელიმ-ხანმა ძლივს მოასწრო გაქცევა...

განრისხებულმა შაჰმა ქართლის მეფეს ვახტანგს, შაჰნავაზად წოდებულს, უბრძანა, ქრისტეს ახოვანი მხედრები მასთან გაეგზავნა...

შაჰის ბრძანებით წმინდანები სასტიკად აწამეს... ეს ამბავი 1661 წელს მოხდა. მრავალი წლის შემდეგ წმინდანთა ნეშტი ქართლში ჩამოასვენეს და იკორთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში პატივით და დიდებით დაკრძალეს.

სიმღერა

ჩემი კაცობის გვირგვინო
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან ნაშობი ოცნება
გულს ლახვრად გავიყარეო.
არ მიმეფარო თვალთაგან,
დამიცევ, დამიფარეო,
ბევრი ვაება ვიხილე,
ბევრი დღე ვნახე მწარეო.
მზის სხივებივით ბრწყინავენ,
რაც მე ცრემლები ვღვარეო,
ის მოიგონე, მაინცა,
ბეჩავო, არე-მარეო!
ჩემს ცრემლს უბეში ინახავ,
განა, სამშობლოს მთვარეო?!
არ მიღალატო, ოცნებავ,
მნახოდი მალი-მალეო,
კი არ მიმუხთლო, შემომწყრე,
იარო გარე-გარეო,
თუ ამას იზამ, წინა დღით
საფლავი გამითხარეო.
მოვკვდე, კაცთ ხელი არ მინდა,
ოცნებავ, დაგიბარეო:
მარტო შენ მნახე, გულზედაც
მიწა შენ მომაყარეო.

ვაჟა-ფშაველა

ერო ჩემო, მცხეთის კართან გამოდი!!!

მაგ სუფრიდან არაფერი აიღო!
მაგ სუფრასთან წუხელ გასცეს უფალი!
ქრისტეს მცნება ვინაც ყურად არ იღო,
არ ასცდება იუდას ნასუფრალი!
ზოგი მამლის ყივილამდე გიგანებს!
ზოგი ისევ ამჯობინებს ავაზაკს!
მე კი მხიბლავს შენი ზვრების სიგანე,
სიცოცხლე რომ ასე გამილამაზა!
გაიცინე, როცა გიმზერს ჯალათი!
გაიცინე, როცა უმზერ არქიფოს!
არაფერი დაიჯერო ამათი!
ოცდაათი ვერცხლიც ამათ ათქვლიფონ!
როგორ ახლოს მოფრენილან სვავები!
ეს კანკელიც შინაურმა დალეწა!
რატომ იტანს ფილაქანი სამების
ღვთის ტაძარში შემოპარულ გარეწარს?
ბუღა-თურქიც უნდა მკერდით გათელო,
თუ ცრემლები საქართველოს გამო გდის!
ეს მსტოვრებიც მოინელე, ქართველო!
ერო ჩემო, მცხეთის კართან გამოდი!!!

ლაშა ნადარეიშვილი

ლევან გოთუას საყურადღებო აზრები



* არავითარი ბედნიერება არ მწამს, უკეთუ ჩემი სამშობლოს ხარჯზე იქნება.
* ვარამბედობის ჟამს თავიანთი მარნებიდან ნუ გახედავთ საერთო საქმეს, თორემ ყველას წაგიმწარდებათ ზედაშე.
* დაქსაქსული ერის შვილებს ალბათ არა გვაქვს პირადულზე ამდენი ფიქრის ნება.
* ერისა და ოჯახის ბედნიერება თითქმის თანხვედრია, ხოლო თუ შენი ოჯახი ბედნიერია და ერი კი არა — სადღაც არ ყოფილხარ უანგარო.
* ვერ გამიგია სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორს ვარ, თუ იმიტომა ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერ მიყვარს სამშობლო.
* ზნეობის მოპოვებას თაობები სჭირდება, დაკარგვას კი ერთი ქალამნის დაცვეთის დროც ჰყოფნის.
* მრავალმა ერის აგურობა უნდა გასწიოს, ჩვენში კი ყველას დედაბოძობა სწადია.
* სარწმუნოებაში და ეკლესიაში ქართველისათვის ყველაფერი იყო შეერთებული; სამშობლო, ენაც, დამოუკიდებლობაც, ეროვნებაც, ერთი სიტყვით ეკლესიისა და სარწმუნოების სვე იგივე ხალხის სვე იყო, ამ სარწმუნოებისა და ეკლესიისათვის აღთქმულს.

ჩვენი საუნჯე

„... ახალ ზუგდიდში სასახლის სობორო არის ქვისა, ქართულ გეგმაზედ აშენებული, ლევან V დადიანის დროს, როგორც წარწერიდან ჩანს, მშენებლობა დაწყებულა 1825 წელს და დამთავრებულა 1830 წელს. ასაშენებელი ფული იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოუგზავნა სამეგრელოს მთავარს და თან დაუბრუნა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი თავისი წმინდ სარტყლით...“ (ექვთიმე თაყაიშვილი, „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, წ. II, ტფ. 1915 წ.).

XVIII ს. 10-იან წლებში გიორგი გურიელმა „განძარცვა“ ეს ხატი და ჰყო სამკაულად თვისად. 1805 წელს სამეგრელოს მთავრინა ნინომ სამეგრელოს ხალხის სახელით მიართვა ხატი ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც ხატი ძვირფასად შეამკო, დაუბრუნა სამეგრელოს და ბრძანა მის სახელზედ აშენებულიყო ეკლესია, ხოლო ადგილს დარქმეოდა გრიგოლიპოლისი, გრიგოლ დადიანის პატივსაცემად...

...1923 წ. შეწყვეტილი მსახურება ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში 1989 წელს აღდგა უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

მზის შვილები

რევაზ ერისთავი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №19, 20, 21, 22, 23, 27, 29).

ახლა დავუბრუნდეთ კვლავ აღდგომის კუნძულს და გავარკვიოთ ის თუ საიდან მოვიდა ეს ხალხი, რომლებიც როგორც ტურ ჰეიერდალი ამტკიცებს IV საუკუნეში დასახლდნენ კუნძულზე ჩვენი წელთაღრიცხვით. იგი ამ ხალხს სამხრეთ ამერიკიდან მოსულად თვლის. თან აღნიშნავს, რომ ეს ხალხი იყო უშიშარი და მამაცი ორეხონესის შტო, თეთრი კანით, მოკლე წვერითა და არწივისებური ცხვირით. ამ ხალხს იგი ლეგენდარულს უწოდებს, ალბათ იმიტომ, რომ მათი წყალობით მოხდა ოკეანის ტერიტორიაზე არსებული უამრავ კუნძულებზე მცხოვრები აბორიგენების (ინდიელების, ზანგების) განკაცება და ცივილიზაციაში ფეხის შედგმა, მაგრამ მისთვის უცნობი დარჩა, თუ ვინ იყო კონკრეტულად ეს ხალხი და საიდან აიღო გეზი თავდაპირველად და რა გზით იარეს საუკუნეების განმავლობაში.

სწორედ, აქედან უნდა გავაგრძელოთ ამ ლეგენდარული ხალხის გზა, რომლებიც თავდაპირველად კავკასიიდან წამოვიდნენ ჩრდილო განედის 42⁰-ზე და ჯე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში დასახლდნენ, შემდეგ კი ატლანტიკის ოკეანე გადასცურეს, ასევე, ჩრდილო განედის 42⁰-ის გაყოლებით და ჩრდილო ამერიკის კონტინენტს მიადგნენ ხუთი ტბის მიდამოებში.

ამერიკის კონტინენტზე იბერების განსახლებას და მოღვაწეობას რამდენიმე საუკუნე დასჭირდა. მათ მთლიანად მოიარეს ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტები და ყველგან ასრულებდნენ მისიონერების როლს. იბერიელები არც ისე ბევრი იყვნენ. სამაგიეროდ, ინდიელი აბორიგენები ბუზებივით მრავლდებოდნენ. ბოლოს დადგა მომენტი, როცა ინდიელმა აბორიგენებმა თავიანთი თეთრკანიანი ბელადების ამაგს უმადურობის წყალი გადაასხეს და როგორც კი ცხოვრების წესები პრიმიტიულად აითვისეს, ისინი თავიანთ მასწავლებლებს აუჯანყდნენ და აიძულეს, რომ ამერიკის კონტინენტი დაეტოვებინათ და წყნარი ოკეანის კუნძულებისათვის შეეფარებინათ თავი.

მართლაც, რომ საოცარი კანონებია ბუნებაში გაბატონებული: საერთოდ, დედამიწა ელიტარული მცენარეების გამრავლებას ეწინააღმდეგება, ხოლო სარეველა მცენარეებს კი ზედმიწევნით ახარებს და ალაღებს. სარეველები დედამიწის წიაღის ღვიძლი შვილებია, მათ არსებობას დედამიწა ხელს უწყობს. რაც შეეხება ელიტარულ კულტურებს, თუ მათ არ მოვუარეთ, არ გავუკეთეთ რამდენიმეჯერ კულტივაცია, არ შევწამლეთ, ისინი სარეველა მცენარეების გადამკიდე იღუპებიან. ასეთივე ანალოგიურ მოვლენებს აქვს ადგილი ცოცხალ ორგანიზმებშიც. სუსტი ბიოლოგიური ერთეულები ბუნებაში ინტენსიურად მრავლდებიან და თავიანთ უჯიშობას ანუ ბიოლოგიურ სისუსტეს გამრავლებით უკეთებენ კომპენსაციას. რაც შეეხება ძლიერ ბიოლოგიურ ერთეულებს, მათი ხვედრი გამრავლება არ არის. ისინი ძალზე ცოტანი არიან, მაგრამ ბიოლოგიურად და გენეტიკურად ძლიერნი.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ორაგული, რომელიც ქვირითისაგან იჩეკება, მხოლოდ მეშვიდე წელიწადს იძლევა შთამომავლობას. იგი 2000-3000 ქვირითს ყრის და თვითონ კი კვდება, იღუპება. აღნიშნული ქვირითიდან 15-20% თუ გადარჩება, ე.ი. დაახლოებით 500-600 ლიფსიტა. სულ სხვა არის ჭაობის თევზი გამბუზია, რომლის სიგრძეც 2-3 სმ-ის ტოლია. შთამომავლობის შესაქმნელად იგი მილიონამდე ცოცხალ ლიფსიტას ყრის, რომლებიც თითქმის ყველა ცოცხალი რჩება, მაგრამ მათი შედარება განა შეიძლება? ორაგული, ორაგულია — თევზების მეფე და გამბუზია კი გამბუზიაა — ჭაობის ერთი ციცქნა თევზი. დიახ, რომ იტყვიან კომენტარი ზედმეტია.

გადიოდა დრო. თეთრკანიანი ბელადები თავიანთი სიმცირის გამო ვერ უძლებენ ინდიელ აბორიგენთა მილიონობით ტომების შემოსევას და იძულებულები ხდებიან დატოვონ ამერიკის კონტინენტი და წყნარი ოკეანის კუნძულებს შეაფარონ თავი. ერთ-ერთ ასეთ კუნძულს წარმოადგენდა აღდგომის კუნძული. აი, ვინ იყო ის ხალხი, რომლებიც სამხრეთ ამერიკიდან მოვიდნენ აღდგომის კუნძულზე. ამ გზას ქართველმა ტომებმა ანუ იბერებმა დაახლოებით 2500 წელი მოანდომეს. ასე დამთავრდა ამ მართლაც დიდი და ლეგენდარული ხალხის გრძელი და ხიფათით აღსავსე გზა. წყნარი ოკეანის კუნძულებზე ჩაესვენა ამ დიდი ცივილიზაციის შემქმნელთა მზე. სადაც კი არ ყოფილან ისინი ყველგან მიიტანეს ხვამლის მთაზე მიჯაჭვული ამირანის მოგიზგიზე ჩირაღდანი, რომელიც უძველესი გლობალური ცივილიზაციის კავკასიიდან გასხივოსნების სიმბოლური გამოხატულებაა.

არსებობს ვერსია, რომ ქართული ეროვნული ეპოსის გმირს — ამირანს, რომელიც შემდეგ ბერძნებმა პრომეთედ მონათლეს, შორეული კავშირი აქვს მზის ღმერთთან „რა“-სთან, ასევე უკავშირდება შუმერულ სიტყვას — „ამას“, დედას. ე.ი. ამა-რა-ნი, ანუ, შვილი დედა მზისა.

თანამედროვე მეცნიერები: ეთნოგრაფები, ორიენტალისტები, ლინგვისტები, არქეოლოგები და სხვები, ძალზე ბუნდოვნად იცნობენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და კულტურას. მათ არ იციან, რომ ჩვენი პლანეტის უძველესი ცივილიზაციის ბერმუხა საქართველოში დგას და მის განშტოებულ ფესვებზეა ყლორტებად აღმოცენებული: ეგვიპტის, შუამდინარეთის, საბერძნეთის, ინდის ველის, ტიბეტის, ამერიკის და სხვათა კულტურები.

პირისაგან მიწისა აღიგვენ უძველესი ქართული ტომები: ეტრუსკები, პელაზგები, ხეთები, მოსხები, ხალიბები, მოსინიკები. მათი სულიერი მონაპოვარი მოსულმა ბარბაროსმა ხალხებმა მოიტაცეს და მიითვისეს. მათი მითები და ლეგენდები ახალმოსულთა მითებსა და ლეგენდებში გადაიზარდა. დღეს კი, როცა არქეოლოგიამ ეთნოგრაფიას ახალი სული შთაბერა, დიდი სიფაქიზითა და სიფრთხილით გამოყო ერთმანეთისაგან ახალმოსულთა ბარბაროსული ნამოქმედარი და პირველშემქმნელთა ნამოღვაწარი.

მსოფლიოს ბევრი ხალხის ზეპირსიტყვიერებაშია ლეგენდის სახით შემორჩენილი ღმერთის მიერ დედამიწაზე ქალისა და მამაკაცის მოვლინება. რათა შემდეგ მათ ეზიარებინათ ცივილიზაციისათვის ის ველური ტომები, რომლებიც სახლობდნენ ჩვენს პლანეტაზე უხსოვარ დროიდან. ამ ველურმა ტომებმა იცოდნენ, რომ ეს თეთრი ადამიანები მოვიდნენ მზიდან, შეუცნობელნი და საოცრებით აღსავსენი და დათესეს ქვეყნად მშვიდობა, სიკეთე და სიმართლე.

* * *

როდესაც ჩვენ ვაყენებთ საკითხს იბერთა ცივილიზაციის გავრცელების გზებზე ჩრდილო განედის 42⁰-ის მიმართულებით, არ შეიძლება რომ არ აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებაც: დედამიწაზე, დღეისათვის არსებულ ყველა ცნობილ ქალაქს თუ მის ნანგრევებს, თავისი დამაარსებელი, ძლევამოსილი მეფე ან მმართველი ჰყავდა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქალაქი ქუთაისი. მის შექმნასთან არც ერთი ცნობილი პიროვნება დაკავშირებული არ არის. არავინ იცის მისი დაარსების მიახლოებითი თარიღიც კი. თუმცა თანამედროვეობაში გავრცელებულია აზრი, რომ ქუთაისი 3500 წლის არის და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მისი 35 საუკუნის „იუბილის“ გადახდასაც კი ფიქრობს ქართველი საზოგადოება.

ეს მოსაზრება არ არის სწორი. ჯერ ერთი, რომ 3500 წლის წინთ (ეს თარიღი ემთხვევა კოლხეთის სწორუპოვარი მეფის აიეტის მმართველობის პერიოდს) ქუთაისი უაღრესად განვითარებული და აყვავებული ქალაქი იყო, იქამდეც რომ აქ ოქროს ხელოვნური გზით მიღების ტექნოლოგიასაც ფლობდნენ, რაც არა მარტო მაშინ, არამედ ახლაც, თანამედროვე მეცნიერებისათვის, ეს საკითხი ბურუსით არის მოცული. ასევე ამ პერიოდში ხდებოდა არგონავტების (ძველი პელაზგების) ვიზიტი კოლხეთში ოქროს ხელოვნური გზით მიღების ტრაქტის მოსატაცებლად და ბევრი სხვა პროცესები.

მეორე ის, რომ როდესაც გლობალური კატასტროფების დროს კუნძული ატლანტიდა განადგურდა და ჩაიძირა, ამ კუნძულზე მცხოვრებმა გადარჩენილმა ხალხმა, იბერებმა (ამას მიუთითებს პლატონიც), კავკასიას შეაფარა თავი. ამ მოსაზრებას ვეყრდნობით იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით, კატასტროფის დროს გადარჩენილი იბერთა ტომების მიგრაციის გზა ჩრდილო განედის 42⁰-ის მიმართულებით ვრცელდებოდა. ასევე ჩრდილო განედის 42⁰-ის პარალელი გადის კავკასიის იმ რეგიონზე, სადაც ქუთაისი მდებარეობდა და მდებარეობს ახლაც. თუ ასევე მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ბარონი ჰუმბოლტი კუნძულ ატლანტის მდებარეობას ჩრდილო განედის 42⁰-ს მიიჩნევს, მაშინ გამოდის, რომ ეს აღნიშნული გეოგრაფიული კოორდინატები ურთიერთშორის კავშირში იმყოფებიან. ყველგან ფიგურირებს ჩრდილო განედის 42⁰.

რა არის ეს? უბრალო დამთხვევა თუ კანონზომიერება? უსათუოდ კანონზომიერება!

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ქუთაისს მეტად დამაფიქრებელი გეოგრაფიული კოორდინატები აქვს, ჩრდილო განედის 42⁰ 17' და აღმოსავლეთი გრძედის 42⁰ 42' გადაკვეთა, უნდა ვიფიქროთ, რომ კუნძულ ატლანტიდის ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილი ხალხი, ღვთის კარნახით, კავკასიაში მოსულა და ქუთაისის ტერიტორიაზე დასახლებულან.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, რატომ ხდებოდა ასე, მაგრამ ჩანს, რომ ჩრდილო განედის 42⁰-ის მაგიურ ძალას ძველი იბერები ანგარიშს უწევდნენ და მკაცრად იცავდნენ ამ ღვთიურ რიტუალს.

ასევეა ნახსენები „ამირანის“ მითშიც. ამირანი მზისაგან ცეცხლს მოიტაცებს და ანთებული ჩირაღდნის სახით, მოუტანს მსოფლიოს ხალხებს, რისთვისაც მას ღმერთი დასჯის და ხვამლის მთაზე მიაჯაჭვავს. აქ, ჩირაღდანში, ნაგულისხმევია კულტურისა და განათლების განთესვა მთელს დედამიწაზე ქუთაისთან ახლო მდებარე ხვამლის მთიდან. ასე რომ აქაც მითითებულია ქუთაისი (ბიბლიის ენით რომ ვთქვათ), როგორც წარღვნის შემდეგ, ცივილიზაციის დედამიწაზე განთესვის საწყისი წერტილი. შესაძლოა თავდაპირველად მას ქუთაისიც არ ერქვა და ეს სახელი იბერების წყალობით შემდეგ პერიოდში უწოდეს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ამ ორი კოორდინატის, ჩრდილო განედის 42⁰-სა დ აღმოსავლეთის გრძედის 42⁰-ის გადაკვეთის წერტილი არის გლობალური კატასტროფების შემდეგი ის გეოგრაფიული ცენტრი, საიდანაც დაიწყო იბერთა ცივილიზაციის მთელ დედამიწაზე ხელმეორედ განთესვა. ამ ადგილს ჩვენ მეორე ატლანტიდა შეიძლება ვუწოდოთ.

ახლა ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ერთ საინტერესო გარემოებაზე. ქართულ მეტყველებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანხმოვან ასოთა დაჯგუფებებს ან მარცვლებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ. ქართულ სიტყვებს: ატანას, ატყორცნას, ატაცებას, და ასევე ქართული წარმავლობის სიტყვას — ატმოსფეროსაც, ახასიათებს მარცვალი „ატ,“ რომელიც მიგვანიშნებს, რომ აქ ზემოთ არსებულ, ზემოთ მიმართულ მოქმედებასთან გვაქვს საქმე.

შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სახელწოდება ატლანტიდას ანალოგიური წარმომავლობა აქვს. ატ-ზემოთ არსებული მოქმედების მარცვალია და ლანდ, ლნდია ქვეყანაა. აქ ნთლად ჩანს, რომ ატლანტიდა ზემოდან მოვლენილ ხალხს ნიშნავს, ე.ი. ღვთიური წარმომავლობის ხალხს. ამიტომ არის დღეს გავრცელებული აზრი, რომ იბერები ანუ იგივე ბასკები ციდან ჩამოცვენილი ხალხია, იმდენად განყენებულია მათი ენა და იმდენად თავისებურნი არიან ისინი.

ეს მოსაზრება სადღეისოდ საზოგადოების ერთ ნაწილში შეიძლება ღიმილს იწვევდეს, მაგრამ ეგ არაფერი. კიდევ ვიმეორებ, რომ დადგება დრო, როცა მსოფლიო სხვაგვარად იაზროვნებს და ერთხმად აღიარებს იბერთა ცივილიზაციის ღვთიურ წარმომავლობას.

ძველი იბერების ანუ პროტოქართველური ტომების ამ პერიოდზე ამახვილებს ყურადღებას, ცნობილი რუსი შუმეროლოგი, ანატოლი კიფიშინი თავის ფუნდამენტალურ მონოგრაფიაში: „შუმერებამდელი პროქართველური ტომების ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბება გვიანი ნეოლითის პერიოდში“. ეს მონოგრაფია, რომლის მოცულობაც 500-ზე მეტი თაბახის ნაბეჭდი გვერდია, საბჭოურმა გამომცემლობებმა შეგნებულად არ დასტამბეს. არავის სჭირდებოდა იმ პერიოდში საქართველოს წარსულის ზენიტში წარმოჩინება და ისიც რუსი ავტორის მიერ. ამ მონოგრაფიაში (ავტორის წყალობით, მე მას ხელნაწერში გავეცანი), ანატოლი კიფიშინი დასაბუთებულად აყალიბებს აზრს, რომ შუმერებამდელი პროტოქართველური ტომები, კავკასიაში გამოჩნდნენ 18000-15000 წლის წინათ ჩვენს ერამდე. მხოლოდ ამის შემდეგ მათ შექმნეს ის კულტურა, რომელმაც ხელმეორედ ფეხზე წამოაყენა მსოფლიოს ცივილიზაცია. (მოკლე ინფორმაცია იხილეთ ჟურნალ „ტეხნიკა მოლოდიოჟში“ 1975 წ. №12, გვ.56).

სწორედ ამ პერიოდში უნდა ვეძიოთ ქუთაისის, როგორც წარღვნის შემდეგ, ჩვენს პლანეტაზე პირველი დასახლებული პუნქტის ჩამოყალიბების ასაკი და არა 3500 წელი უნდა ვაღიაროთ მისი დაარსების თარიღად, როგორც ამას გვიმტკიცებენ ის თანამედროვე მეცნიერები, რომელთა აზროვნების სფეროც ვერ სცილდება მატერიალისტური აზროვნების დოგმებს.

* * *

ახლაც, როცა იბერების წარმომავლობისა და მათი რთული და ხანგრძლივი გზის შესახებ ჩვენი მოსაზრება გამოვთქვით, უნდა ბატონ ტურ ჰეიერდალსა და სხვა მეცნიერებსაც შევეხმიანოთ და მორიდებით ვაუწყოთ, რომ სწორედ იბერები იყვნენ ისინი, რომლებიც მოვიდნენ სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან აღდგომის კუნძულზე და თან მოიტანეს ცივილიზაცია, რაც კუნძულებისათვის იმ პერიოდში სრულიად უცხოსა და უცნობს წარმოადგენდა.

როგორც ლეგენდები გადმოგვცემენ, ჯერ კიდევ ადრე, აღდგომის კუნძულის ცივილიზაციის აღმოცენებამდე, კუნძულს ეწვია პირველი თეთრკანიანი ბელადი ხუტუ მატუა, რომელიც მოვიდა კუნძულზე რამდენიმე ნავითა და თანმხლები პირებით. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხუტუ მატუა ქართველთათვის არ არის უცხო სახელი. დღეისათვის სამეგრელოში უამრავი ოჯახია, რომლებიც მატუას გვარს ატარებს. ასევეა ბასკეთშიც გავრცელებული მეგრული გვარები: მატუა, ნოდია, ახურია, ალანია, ბოკერია, ჩეხია, მედონია, ურიგია, ჩინჩალია და ბევრი სხვა.

რაც შეეხება ხოტუს, ეს შეიძლება იყოს დღევანდელი სახელი ხუტა, რაც ერთობ გავრცელებულია სამეგრელოში.

ეჭვი არ არის რომ ხოტუ მატუა წარმშობით იბერიელი (ბასკი) იყო. იგი თავის ამალით მოვიდა აღდგომის კუნძულზე სამხრეთ ამერიკის მხრიდან. ის იმ ლეგენდარული ხალხის შვილია, რომელსაც ტურ ჰეიერდალი ორეხონებს უწოდებს, ხოლო თვით ხოტუ მატუა და მისი თანმხლები პირები თავიანთ თავს ხონგას ტომის შთამომავლებად თვლიან.

ეს თეთრკანიანთა პირველი კოლონა, როგორც ამას ზოგიერთი მიუთითებს, აღდგომის კუნძულზე ეტაპობრივად მოვიდა. ჯერ ისინი სამხრეთ ამერიკიდან გადასახლდნენ ტიამოტუს არქიპელაგის კუნძულ მანგარევაზე. შემდეგ კი ხოტუ მატუამ ეს ხალხი აღდგომის კუნძულზე მოიყვანა. ასევე მან მოიტანა გასამრავლებლად უამრავი სახის ელიტარული თესლი და 67 ცალი ხის ფირფიტა, რომლებზედაც იდიოგრამები იყო ამოტვიფრული (დამწერლობა „კოჰაუ რონგო რონგო“) ლეგენდები იუწყებიან, რომ ხოტუ მატუა ამ დღესაც გაუშიფრავი დამწერლობის დიდი მცოდნე ყოფილა.

როგორც ჩანს ხოტუ მატუასი და მისი ნაშიერების მოსვლა აღდგომის კუნძულზე კუნძულ მანგარევადან სინამდვილეს შეეფერება. სიტყვა მანგარევა ძალზე მიაგავს სიტყვა მანგარს, რომელიც მეგრულ ენაზე მაგარს ნიშნავს. ხოტუ მატუა ხომ იბერთა ხალხის იმ ტომის ნაშიერია, რომლებიც მეგრელების სახელით არიან ცნობილნი. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ კუნძულს მეგრელმა ხალხმა მანგარევა მანგარო უწოდა (ანუ მაგარი) და, ალბათ, იმიტომ იყო, რომ ხოტუ მატუამ ეს ელიტარული თესლები აღდგომის კუნძულზე მოიტანა, რადგან კუნძულ მანგარევას ნიადაგი ძალზე მაგარი და მწირი იყო და იგი ელიტარულ თესლეულის დასათესად უვარგისი აღმოჩნდა.

(გაგრძელება იქნება)

„ბორჯის“ ავტორის უკვდავება!



ამიმდინარე წლის ზაფხულში გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს თავისუფლების მარადუკვდავი იდეით გულანთებული პატრიოტის დანიელ პავლეს ძე ფიფიას ნაწარმოებთა პირველი კრებული — „ბორჯი,“ რომლის შემდგენელ-რედაქტორია მწერალი და ჟურნალისტი თამაზ ფიფია.

წიგნი დაიბეჭდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით.

„ბორჯის“ შესავალში ვკითხულობთ: გაუსაძლის ყოფით სიძნელეებსა და პოლიტიკური უამინდობის უთანასწორო დაპირისპირებებში გამოჩნდა ჭეშმარიტი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, დანიელ პავლეს ძე ფიფიას რაინდული ღირსებები — სამშობლოს თავისუფლებისთვის თავდადების, ბოროტებასთან უკომპრომისო ძალმოსილების უნარი!

მისი ცხოვრება — ავბედობასა და უმეცრებასთან მედგარი ბრძოლა იყო, შემოქმედება კი — სიმართლისა და სიკეთის მადლის დიდოსტატურად გამოხატვა. ბედის ირონიით, ამ სანაქებო თვისებებმა უბედურება მოუტანა, — 28 წლის ჭაბუკი, როგორც შემოურიგებელი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, გაუსამართლებლად, ცრუ ბრალდებით დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1924 წლის სექტემბერში.

კრებული გამოიცა დანიელ ფიფიას ტრაგიკული აღსასრულის 90 წლისთავზე...

* * *

ნიჭიერი შემოქმედის კალამს ეკუთვნის ლექსები, პოემები, პროზაული ნაწარმოებები, სხვა მნიშვნელოვანი ჩანაწერები...

დანიელის ლექსებიდან საყურადღებოა: „ინა ვორექ, მუთ ვორდი კინოხ,“ „ანდერძი,“ „ნამთინემც“, „ნინუცას“, „მურა“, „ჯგირი სერი დო თიშგ უკული“, ზოგიერთი უსათაურო ლირიკული ლექსი, პოემა „ყაზაყიში ბედი,“ დაუმთავრებელი პოემები: „ილორიშ ბრალი“, „მადუ“, „იოსებიშგ ისტორია“, ასევე თარგმანები: ჰომეროსის „ილიადას“ დასაწყისი, ლერმონტოვის „დემონი“ და სხვა.

საყურადღებოა ყრმობისდროინდელი მისი ლექსებიც: „ობუჯი,“ „ხუნოს თავი,“ „ხმა მხილებისა“, „შინაგანი ბრძოლა,“ „მე ვითხოვ შრომის თავისუფლებას“, „იმედი“, „დედის სიყვარული“... ასევე საინტერესოა სოციალური უსამართლობის თემაზე დაწერილი პოემა „ბულათია“, დაუმთავრებელი პოემა „სიყვარულის მკვლელი,“ ავტობიოგრაფიული, დაუმთავრებელი პოემა „ასახსნელი სიტყვა,“ ლექსად დაწერილი ზღაპარი „ხუმლა კოჩი,“ მოთხრობა „ცდუნება, ანუ ნაცნობი სტუდენტის ნაამბობი,“ ზღაპარი „ქალვაჟიანი,“ თქმულება „ნამონასტრალი ობუჯში,“ წერილები, მოგონებათა ფრაგმენტები და სხვა.

დანიელ ფიფიას სახელი პირველად გაბრწყინდა საიუბილეო დღის მზადებისას 1996 წლის ივნისში, მან განსაკუთრებული ადგილი დაიკავა რჩეულთა შორის, რადგან სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი იყო და ვაჟკაცურად, უყოყმანოდ შეეწირა ამ ბრძოლას!

წლეულს დაბადებიდან 118 წლის შემდეგ, მისი მთავარი ნაშრომების შეკრებით და წიგნად გამოცემით კუთვნილი გვირგვინი დაედგა ღირსეულ ავტორს — დანიელ პავლეს ძე ფიფიას!

დანიელ ფიფიაქ

28 წანა იცხოვრ თე ქიანას. დებად 1896 წანას, წალენჯიხაში რაიონიში სოფელი ობუჯის. 1924 წანას გორხვეს ბოლშევიკეფქ.

დანიელ ფიფია მარგალურო ჭარუნდ. ბრელიში ქიმინუა მაჭიშუ, მარა თიში ნაჭარეფიში უმენტაშობაქ მედინ. ჩქინდა მაჭირინუ პოემა „ბულათიაქ“, არიკი „ხუმლა კოჩქ,“ მარგალური — ქორთული ლექსიკონიში ჭიჭე ნაწილქ დო ხოლო მუზმარენი ლერსეფქ.

ათე წანაში კვირკვეში თუთას მაჭარალქ, პოეტიქ დო ჟურნალისტიქ თამაზ ფიფიაქ ქვერსემი საქმე გაკეთ — დანიელ ფიფიაში გინოსქილადირი ნაჭარეფი აკოშაყარუ დო წინგო გაქშაშქუ. გომორძგუა შიბუდას პატონი თამაზის!

ნოჯიხური“ აგრძელენც დანიელ ფიფიაში მარგალური — ქორთული ლექსიკონიში ბეშტუას...

მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ № 18, 19, 22, 23, 27, 29).

პ

პანეში — ყურძნის ერთგვარი ჯიში
პანტალი — ფოთიალი
პანჯი — შხამი
პანჯუა — იხ.წყევლა
პაპა — მღვდელი
პაპანწყვილი — ცუდი გზა
პაპუ — ბაბუის მამა
პარანა (ს ორთუ) — ბობოქრობს
პატენი — ბატონი
პატენი — ჭკორალა — ბატონყმობა
პიტი-პატუ — წვრილმანი რამ
პატული — ფათური
პახვალი — დახრილად სიარული
პიჯალა — პირობა
პეკი — ამაყი
პენჯე (პენჯერე, პინჯა) — თავმსხვილი
პერეჟი — ქაფი
პერო — მკვახე
პიანი — სურვილი
პით — გვყავით
პეჯინი (პეჯება) — პატიჟი
პილაგანი — სწორი
პინტი — ჩვარი
პიპინი — ტუჩშეკვრით, ჩუმად
პიპუ — ტუჩი
პირი (პეული) — ყვავილი
პირსელი — ნათლიდედა
პიშქოსალი — პირსახოცი
პიჩვანი — მარხვა
პიჯგიმე — თავქვე
პიჯი — პირი, საპირე
პოპორი — ზვირთი
პოტიკა — ფუქსავატი
პოტიკი — ჩხირკედელაობა
პოტინი — ხელის გაწვდენა
პრული — ძროხის ზურგის ჩრჩილი
პუნცუ — მყავს
პუროსქუა — გატეხვა
პუროხილი — დაგრეხილი
პუტორილი — დაგლეჯილი
პუხა — კუზიანი

ჟ

ჟამუა — გრძნებით შეკვრა
ჟამული — გრძნებით შეკრული
ჟაჟუა — არამჭრელი რამით გაჭრა რისამე
ჟარნეჩი — ორმოცი
ჟაშხა — კვირა
ჟენთელი — ბრწყინვა
ჟეჟღები — ჭრიჭინა
ჟვაბუ — გომბეშო
ჟვარჟვალი — ბლომად რაიმე სითხის დენა
ჟვატილი — უშნოდ შეკერილი
ჟვეპური — ქაფი
ჟვეპურუა — აქაფება
ჟვეჟვი — დორბლი
ჟვერი — ბალახბულახი სველი
ჟი — მაღლა
ჟინი — ზედა
ჟინოსქუა — აზნაური
ჟიჟინაფილი —
ჟიჟირო — ორ-ორად
ჟიჟღაფი — შეუძლოდ ყოფნა
ჟირი — ორი
ჟიროში — ორასი
ჟიფუა — ხელით გალახვა
ჟუმინაფა — იხ.ჭუმინაფა
ჟუმინი — ჩქარი სიარული
ჟღები — გუბე
ჟღვინტი — წვინტლი
ჟღირაფილი — მჭკნარი

რ

რაგვი — მახე
რაგვინი — რქინება, დატაკება
რალაფა — შეტევა
რანგუა — დაკეტვა
რანთაფი — უშნო სიარული
რარჯილი — ღონე, ძალა
რაცუა — გაბერტყვა, გაპეტნა ბამბის
რაჰათი — ხალვათი
რგალაწუა — ხარშვა
რგალუა —
რგინა — გორვება
რგუალა — 1. გლოვა. 2. დარგვა
რდილი — გაზრდილი
რდუალა — გაზრდა
რე — არის
რეფაფი — ცემა ურისი
რეჭი — კენჭი
რზამა — დაგზნება
რთაფა — ყრა ფუტკრის, შეყრა სახადის
რთუალა — 1. გაყოფა; 2. სახლის დახურვა 3. ფერისცვლა
რინი — ყოფნა
რინთალი — გრძელი
რინტალი — ცეტი
რინტუ —
რინჯა — მსხვილი
რისაფი — კბენა, კბეჩა
რისქვალი — მაგარი
რიფალი — ფართე
რიცვალი —
რიცხვი — ანგარიში
რკაპანი —
რკება — თვლა და კლება
რკვაკუა —
რკიაფი — ყვირილი ქალის
რკინება — ჭიდაობა
რკმანუა — საჭმლის შეკმაზვა
რობუ — ჩაღრმავებული
როკა — ორთითი
როფე — სკა
როშაფი — ყვირილი
როჩო, რიჩა — ეშვიანი კბილები.
რპექუაფი — ცემა ურითი
რსიოლი — ტრიალი
რსხება — ხსნა
რტინა — გაქცევა
რტუაფა — დალბობა
რულაფა — ჭენება
რული — ძილი
რუმე — ბნელი
რუნგა — სულელი
რქია — ქნევა
რღია — იღლია
რღამილი —
რღვაფა — ყრა, დაღუპვა
რღვაფილი — გამოყრილი, პარტახტი
რშვინი — მჭიდროდ არის (იტყვიან ტყეზე)
რშვინუა — სტვენა
რჩინუ — მოხუცი
რჩქვანე — ჩვეული
რჩუალა — ძარცვა
რჩქილა — სმენა
რჩქინა — ცოდნა
რჩქიფი — ჩანგალი
რჩქუმილუა — დამტვრევა
რჩხილი — გარეცხილი
რჩხუალა — რეცხვა, გარეცხვა
რციება — გამოფიტვა
რცუალა — თმის ცვენა
რცუაფა — დაქცევა
რცქინი — მუქარა
რცხუალა — დგმა, მიდგმა
რძღაფა — გაძღომა
რძღელი — მაძღარი
რწკამული —
რწკინუა —
რწყია — პირღებინება
რჭიმული — თვალდაჭყეტილი
რხუმილუა — კორტნა
რჯგინა — ძლევა
რჯღიმალი — შერევა.

ს

სა, სარალო — (საწყალი)
საანჯება — საჯაყი, სამარცხვინო
საბაკუა — ტკეპნა
საბანძღი — სადავო
საბატონი — შაბათი
საგესქუო — სამზარეულო
სათმა (ო) — ყალიონი
სათხილო — ზიარება
საკაკალო — საუზმე
საკი — ტომარა
საკუმელი — საკმელი, საკმეველი
სალარი — ყინულის თოში
სამანცარი — ასახსნელი
სამანჯელი — მიზეზი
სანარღო — სამწუხარო
სანგარო — სატირალი (წყევლა)
სანგურუა —
სანთა — იხ. ომპა
სანწალე — შხამი
სანყურე — პატრუქი
საპარა — მუცლის ქონი
სარაკუნა — ზარი
სარანჯი — ფიჭა
სარკალი — ლაპლაპი
სარკილი — მოწმენდილი ცა
სარსალი — სრიალი
სარჩილი — გადანეული
სარწყე — ხელსახოცი
სარხო — სამიარო — ახლომახლო
სარჯელი — შრომა
სასარჯელო — საშრომი
სასქიო — საშვილიშვილო
სასტიკა — დარდიმანდი
საფუარი — ცომი
საქვარელი — გაკეთებული საქმე
საქვარი — საქმე
საქვარუა — საქმიანობა
საცალო — ცუდის თქმა ვინმეზე
საცვალამო —
საშმათი — მკვირცხლი
საშულო — საამხანაგო
საჩემარი — გასაკვირი
საცაცეთ — მოწიწებით
საციცი —
საცხგრე —
საწიწკარი (საწიწკი) — საზიზღარი
საჭარა — საბედისწერო
საჭყოინდო — სამეგრელოს ეპარქია
სახათე — ღონე
სახანდილო — საშრომი
სახეში — ხელქვა
სემეტი — ბოძი
სერა — მზის დაბნელება
სერგელი — თრევა
სერი — ღამე
სერესქენი) სერასქირი) — უთვალავი
სვართუა — თხლად დაჭრა
სვარუა — დასერვა
სვირი — მილი
სვირთალი — გრძელი
სვირული — იხ. სვისვალი
სვისვალი —
სიამბარე — გრძნობა
სილბა — მუცლის ქონი
სილგბა — სირბილე
სინთუამი — განათებული
სინჯა — სიძე
სიპალი — უშვერად მაღალი
სირუა — პატარა ნაჭერობით გაჭრა
სირქოლი — ლაქუცი
სირქუა — ლოკვა
სისანდობა — ნძრევა
სისთიგინი — უზრდელი
სგრგთ — ბაწარი
სკაპინი — ჭარტალი
სმელენჯი — იხ. ცურუმი
სო? — სად?
სოიშა? — სანამდის?
სონდარო — სანამ
სონი — სადაური
სორგი — ნედლი შეშა
სოფუა — გლეჯა
სუ — სელი
სუკი — ფერდობი
სუმცუჯი — სამყური
სუნჯი (სუნდი) — ნამი
სუნჯუა — დანამვა
სქა — ფუტკარი
სქანი – შენი
სქვამი — ლამაზი
სქვერი — ქურციკი
სქვერუა — ხტომა
სქვინჩალი (სქინჩალი)— იხ. ღონიერი
სქი — ძე
სქიბუ — წისქვილის ქვა
სქილადა — მორჩენა
სქირ — შრება
სქირგ — მშრალი
სქგლადა — რჩენა
სქუა — შვილი
სქუალა — კვერცხის დება
სქუაცონერი — გერი
სქური — ღელე
სხაპი — კაკანათი
სხაპუა — ცეკვა
სხუნუა — გასხვლა ვენახის

(გაგრძელება იქნება)

პოეზიის დღესასწაული — „გრანელობა“ — 2014 წელი



ტერენტი გრანელის პოეზიასთან ყოველი შეხვედრა დღესასწაულია. მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნები და თარგმანები სხვადასხვა ენებზე ნიშნავს იმას, რომ გრანელი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტია. ბოლო პერიოდში აღმოჩნდა, რომ იგი ასევე ნიჭიერი მხატვარიც ყოფილა!

გრანელობის დღესასწაულს 2009 წელს ჩაეყარა საფუძველი ქ. წალენჯიხაში. მაშინ, დიდი ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის თაოსნობით, ქალაქის ცენტრალურ მოედანს მიმდებარე პატარა სკვერში გრანელის ძეგლი გაიხსნა. ეს იყო ნამდვილად სახალხო დღესასწაული!

წლეულს, 9 ოქტომბერს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა ტერენტი გრანელის გარდაცვალებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო და პოეტის ახალი წიგნის „გრანელობა“-ს პრეზენტაცია. საღამოს უძღვებოდა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნუნუ შანავა. დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა წიგნის შემდგენელებს თამაზ ფიფიას და თამაზ ლუკავას, გამომცემელს გივი ხარჩილავას.

წიგნში შესულია: ტერენტის ლექსები; მინიატურები; გრანელის პუბლიცისტური გამოსვლებიდან; გრანელი — გენიალური პოეტი და მხატვარი; წალენჯიხელი თანამედროვენი იხსენებენ; წალენჯიხაში ჩატარებული „გრანელობის“ ფოტომატიანე და სხვა.

გამომცემლის სურვილით წიგნები უფასოდ დარიგდა, როგორც თბილისის, ისე საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ბიბლიოთეკებსა და სასწავლო დაწესებულებებში.

საღამოს ესწრებოდნენ კულტურის მუშაკები, პედაგოგები, ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოება „წალენჯიხელისა“ და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

10 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში გადახდილ იქნა ტერენტი გრანელის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი.

13 საათზე მოწვეული სტუმრები და წალენჯიხის საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ გრანელის ნამოსახლარზე მემორიალური დაფის გახსნას. შემდეგ პოეტის სახლ-მუზეუმმა სტუმრებს უმასპინძლა, სადაც მამანტი როგავას წიგნის „სულის ბორკილების“ პრეზენტაცია შედგა.

14 საათზე გრანელის ძეგლი გვირგვინით შეამკეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ. ძეგლთან გამართულ მიტინგზე სტუმრებს მიესალმა და სიტყვით გამოვიდა გოგა გულორდავა. ასევე სიტყვით გამოვიდნენ წალენჯიხის საზოგადოების წარმომადგენლები, მწერალი თამაზ ფიფია, კოტე ჩიქობავა, ასმათ კვარაცხელია, თამარ კვარაცხელია, მეზობელი რაიონებიდან მოწვეული სტუმრები.

მიტინგის შემდეგ, 15 საათზე, გოგი კალანდიას სახელობის მოედანზე საზეიმო კონცერტი გაიმართა. კონცერტის დასრულების შემდეგ, 16 საათზე, წალენჯიხის ნიკოლოზ შენგელაიას სახელობის კინოთეატრის სცენაზე წალენჯიხელი მსახიობის სესე მიქავას მიერ წარმოდგენილ იქნა მონო-სპექტაკლი — „მე და ტერენტი,“ რომელმაც მაყურებელთა საერთო აღტაცება გამოიწვია.

„გრანელობა“ — 2014 შესდგა. ღონისძიებამ სახალხო ზეიმის ელფერით ჩაიარა. წალენჯიხელებმა სიყვარულით კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი გენიალური პოეტის — ტერენტი გრანელის უკვდავ სულს!

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მწერლისა და ჟურნალისტის თამაზ ფიფიას სიტყვით გამოსვლის ტექსტს „გრანელობის“ დღესასწაულზე.

კვლავაც გაგრძელდება ტრიუმფი!

ქალბატონებო და ბატონებო! პატივცემულო სტუმრებო! ძვირფასო მეგობრებო!

დღეს წალენჯიხა ზეიმობს ტრადიციულ „გრანელობას“ — პოეზიის დღესასწაულს!

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ტერენტი გრანელი იმდენად პოპულარული პოეტია, რომ საქართველოში მეტნაკლებად ცნობილია მისი ცხოვრებისა და შემოქმედების თითქმის ყოველი ნიუანსი და მაინც დღეს, მისი გარდაცვალების 80 წლისთავზე, ხოლო დაბადებიდან 113-ე წლისთავის მოახლოებულ თარიღთან დაკავშირებით, აქ შეკრებილთ კიდევ ერთხელ გაგახსენებთ უმთავრესს:

ტერენტი გრანელი დაიბადა სოფელ წალენჯიხაში, 1901 წლის 25 ნოემბერს, დღევანდელი მისი სახლ-მუზეუმიდან სულ ასიოდე მეტრით დაშორებულ მამისეულ ოდაში. იქვე, დიდებული წალენჯიხელი მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ შანავას იმ პერიოდისათვის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში იგი გაეცნო ქართული და უცხოური ლიტერატურის კორიფეების შემოქმედებას, რის შედეგადაც მისმა ბუნებრივმა პოეტურმა ტალანტმა უჩვეულო განვითარება ჰპოვა: იაკობის დიდი დახმარებით თბილისში გამგზავრებულმა ტერენტიმ, მართალია, ნატვრა ვერ აღისრულა, — უნივერსიტეტში სწავლა ვერ განაგრძო, მაგრამ მან, წალენჯიხის სკოლაში მოსწავლეთა მეფედ წოდებულმა, თბილისში უმოკლეს დროში ფურორი მოახდინა — ჩამოყალიბდა უთვალსაჩინოეს პოეტად და მხატვრად.

1924 წლის ბოლოს, 23 წლის ტერენტი გრანელს თბილისში დიდი შემოქმედებითი საღამო მოუწყვეს მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა და ამასთანავე გამოსცეს გაზეთი „ტერენტი გრანელი“, რითაც ქართულ სინამდვილეში მანამადე არნახული დიდების პედიესტალზე აიყვანეს ახალგაზრდა შემოქმედი.

იმავე პერიოდში, იგი, ყველაზე უკეთ, ასევე განსაკუთრებული დიდებით მოსილმა, გენიალურმა გალაკტიონ ტაბიძემ დაახასიათა: „ტერენტი ხალასი ნიჭი და გენიაა, ბუნებით პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი!“

მერეც იყო აღმავლობისა და დიდი წარმატებების წლები, მაგრამ ეს სულ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა, რის შემდეგ დრომ გრანელის შემოქმედებას უმკაცრესი გამოცდა მოუწყო: ბოლშევიკები შემოწყრნენ სიმართლის მღაღადებელ პოეტს, გაუხსენეს წარსულიც, როცა იგი, როგორც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისკაცი, თავდადებით იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. — შემოსწყრნენ, გაუხსენეს და სურამის საგიჟეთში გამოამწყვდიეს, რის შემდეგაც რეპრესირებული, გენიალური პოეტი და მხატვარი დაიღუპა როგორც ბოგანო მწირი; დაასაფლავეს ყოველგვარი ცნობისა და ნეკროლოგის გარეშე. გამომცემლობებიდან უკვალოდ გაქრა მისი ლექსებისა და პოემების კრებულები, დაიკარგა პოეტის ბევრი ხელნაწერი. ბოლოს, 1926 წელს გამოცემული წიგნის გამოსვლიდან მხოლოდ 35 წლის შემდეგ, 1961 წელს გამომზეურდა ტერენტი გრანელის „რჩეული“, თაოსნობით ტერენტის დისშვილის, უჩას მეუღლის ალექსანდრე (ბოჩო) როგავასი, შედგენილი ჩვენი თანამემამულის, ცნობილი მწერლის ელიზბარ უბილავას ხელმძღვანელობით, კალე ბობოხიძის რედაქტორობით. ამ პერიოდიდან დაიწყო გრანელის, როგორც გენიალური, მართალი, უკომპრომისო შემოქმედს ახალი სიცოცხლე.

ჩვენ, უფროსი თაობის წალენჯიხელები მოწმენი ვართ როგორ ებრძოდნენ პოეტის რეაბილიტაციას თვით წალენჯიხელებიც კი, რადგან თვლიდნენ, რომ გრანელი უიდეობისა და პესიმიზმისაკენ უბიძგებდა საბჭოთა ახალგაზრდობას. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან კომუნიზმის ზღაპარი გრანელისთანა უკომპრომისო შემოქმედი ადამიანებისადმი მიტევებას არ ითვლისწინებდა. სწორედ მაშინ გრანელს ქომაგად მოევლინა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლერი ალიმონაკი, რომელმაც მართლაც ფასდაუდებელი, უსაზღვრო ამაგი დასდო გრანელის შემოქმედების პოპულარიზაციას! ასევე დიდია ღვაწლი ამ საქმეში გრანელის ბიოგრაფიის მკვლევარის და მასზე დოკუმენტური რომანის ავტორის, მწერალ გივი ცქიტიშვილისა! იმავე პერიოდში, აფხაზეთში ქართველი მწერლების თავკაცმა, ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა პოეტმა შოთა აკობიამ მრავალი გრანელისეული ლექსი — შედევრი გადაარჩინა დაკარგვას.

წიგნის: პოეზიის დღესასწაული — „გრანელობა“-ს პრეზენტაციაზე

ტერენტი გრანელი ლექსებსა და მინიატიურებში, (უკვალოდ გამქრალ პოემებშიც!), პუბლიცისტურ შრომებში უწინარესად ებრძოდა უღმერთობას, უსამშობლობას, უკეთურობას. სამწუხაროდ ნაბოლშევიკარი კომუნისტები, რომელთა შორის მაშინ უთუოდ ბევრი ჩვენი ახლობელიც იყო, ვერ ან არ ითვალისწინებდნენ, რომ უღმერთოდ და უსამშობლოდ, შინაგანი პატიოსნების გარეშე, ვერავითარი დიდი, კეთილი საქმე არ აღსრულდება!

XX საუკუნის მიწურულს, ახალი თაობის კომუნისტები მიხვდნენ ტერენტი გრანელის შემოქმედების მნიშვნელობას და ამიტომაც ხელი ვეღარ შეუშალეს მისი ლექსების „რჩეულების“ გამოცემას, მერე კი, საზოგადოების დიდი ძალისხმევის შედეგად, 1987 წელს წალენჯიხაში სახლ-მუზეუმი აუგეს გრანელის ხსოვნას, თბილისსა და წალენჯიხაში ქუჩებს მიანიჭეს მისი სახელი, პოეტის ნეშტი გადმოასვენეს დიდუბის პანთეონში და სხვ.

სურათზე დგანან: თამრიკო კვარაცხელია და პოეტი კოტე ნაჭყებია

მერე მოვიდა ის დროც, რომელსაც მოელოდა პოეტი, რომელიც წერდა: „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“. — მოვიდა და ცხადლივ გამოჩნდა სინამდვილის გამყალბებლებისა და მართალ შემოქმედთა დაპირისპირების ავ-კარგი. ცხადია, გაიმარჯვა სიმართლემ, სამშობლოსა და ადამიანებისადმი თანადგომამ. იმედია, უღმერთობის საშინელი წლები დავიწყებას მიეცემა სამუდამოდ და აღარ გამეორდება ისეთი სინამდვილე, როცა უიდეობას დასწამებენ ღვთის მორწმუნე და ადამიანისადმი უმაგალითო თანაგრძნობის გამომხატველ პოეტს.

ტერენტი გრანელი, უღვთოობის განსაკუთრებულად მკაცრ ხანაში, ღვთისადმი ერთგულებით არის უბადლო და მართალი! — მუდმივი საფრთხის მიუხედავად სულიერად ძლიერი! იგი სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულში, ადამიანის თანაგრძნობაშია უბადლო, განუმეორებელი და ამიტომაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და თანადგომას, უსაზღვრო სიყვარულს ადამიანებისგან და მომავალშიც დაიმსახურებს. ამიტომაც ძალიან გვიყვარს იგი თანამემამულეებს და ვცდილობთ სათანადო პატივი მივაგოთ.

სწორედ ამისი მაგალითია მოქანდაკე უშანგი ქადაგიშვილის ეს ძეგლი, რომელიც აიგო და დაიდგა წალენჯიხელთათვის განსაკუთრებულად საყვარელი დიდი მწერლის ოტია იოსელიანის თაოსნობით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წინა თავკაცების გია ხარჩილავასა და გია მებონიას ხელმძღვანელობით, პარლამენტარ თორნიკე ფიფიას ხელშეწყობით. იმავე პერიოდში აღვადგინეთ გრანელისადმი 1924 წელს მიძღვნილი გაზეთი „ტერენტი გრანელი,“ 2009 და 2010 წლებში გამოვეცით ახალი გაზეთის „ტერენტი გრანელის“ ორი ნომერი. გაკეთდა ბევრი კარგი სხვაც.

და აი, დგას ჩვენს წინაშე ქვაში გასხეულებული, პოეზიის უნატიფესი ფრთებით ასაფრენად გამზადებული ტერენტი გრანელი და გვახსენებს, რომ ამაოდ არ იკარგება მართალი, ჭეშმარიტად წრფელი, პატიოსანი შემოქმედის სულისკვეთება. იგი უკვე პოეზიის ფრთებით ფრენს საქართველოში, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში და ჩვენ, მისმა მადლიერმა შთამომავლებმა ვიცით, რომ კვლავაც გაგრძელდება მისი ტრიუმფი!

გვჯერა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ამ პროცესს დიდად შეუწყობს ხელს... ამისი ნიშნები უკვე თვალსაჩინოა!

მსურს მოკრძალებით შევეხო ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში წალენჯიხელთა გასაკეთებელს: ჩვენ უნდა ვუერთგულოთ დიდი პოეტის ტერენტი გრანელის ხსოვნას და ბოლომდე მივიყვანოთ მისი თხზულებების მეორე ტომის გამოცემის საშვილიშვილო საქმე!

ამასთანავე, მსურს გამოვთქვა აზრი იმის შესახებაც, რომ 10 ოქტომბერი, რომელ რიცხვშიც უკვე მეექვსე წელია ტრადიციულად ვზეიმობთ „გრანელობას,“ არის პოეტის გარდაცვალების დღე, რაც აქამდე გარკვეული აუცილებლობით იყო განპირობებული. მომავალი კი უკვე სხვა სიტუაციის გათვალისწინებას მოგვთხოვს. როგორც ვიცით, ტერენტი გრანელის დაბადების დღე არის 25 ნოემბერი და ალბათ ღირს დაფიქრება იმაზეც, რომ უფრო უპრიანია ვზეიმობდეთ პოეტის დაბადების დღეს სწორედ 25 ნოემბერს! მართალია, ნოემბერი უფრო ცივი თვეა, მაგრამ მჯერა, წალენჯიხელები გრანელისადმი სიყვარულით აღსავსე გულის სითბოთი იმ დღესაც ისე გავათბობთ, რომ ზეიმს შნოსა დ ლაზათს არ დავაკლებთ!

თამაზ ფიფია
10.X. 2014 წ.

ლეო ქიაჩელი — 130

მწერლის ბიოგრაფია

საქვეყნო საქმე წმინდად და უანგაროდ უნდა კეთდებოდეს...
პირადი, თვით სიყვარულიც რომ იყოს, შიგ არ უნდა გარიო. (ლეო ქიაჩელი).

ლეო ქიაჩელი (შენგელაია) დაიბადა 1884 წლის 19 თებერვალს ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში, აზნაურის ოჯახში. დაწყებითი განათლება ლეომ ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო. 1904 წელი ქიაჩელისათვის მეტად დაძაბული იყო. ამ წელს გარდაეცვლა მამა, დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად ხარკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

1905 წელს სტუდენტთა გამოსვლების გამო, უნივერსიტეტი დროებით დახურეს. ლეო იძულებული ხდება სამშობლოში დაბრუნდეს. ზუგდიდში ჩამოსვლისთანავე ქიაჩელი რევოლუციურად განწყობილ გლეხებს უკავშირდება, რისთვისაც იგი ქუთაისი საგუბერნიო ციხეში ჩასვეს. 1907 წელს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებმა ციხის ქვეშ გვირაბი გაიყვანეს და 36 პატიმართან ერთად ლეო ქიაჩელიც გაიქცა. აღნიშნული ამბავი მწერალმა მხატვრულად დაამუშავა რომანში „სისხლი“.

ციხიდან გაქცეული ლეო ქიაჩელი ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდა არალეგალურად. 1909 წელს გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა. ქიაჩელის ადრინდელ ნოველებში საგრძნობია სიმბოლისტური და იმპრესიონისტული მიმდინარეობისათვის ნიშანდობლივი მოტივები — სკეფსისი („შეურაცხყოფილი“), ნიღბის ფილოსოფია („Escalade“), დუმილის თეორია („სტეფანე“, „ისკანდერი“). ბედისწერის პრობლემა („ცოდვის შვილები„) და სხვა.

1912 წელს ჟენევაში გადავიდა საცხოვრებლად. ემიგრაციაში ყოფნისას ლეომ საფუძვლიანად შეისწავლა უცხოური ლიტერატურა და დაწერა პირველი დიდი მხატვრული ტილო „ტარიელ გოლუა“. რომანი ხელნაწერის სახით გამოგზავნა სამშობლოში და 1916 წელს დაბეჭდა გაზეთმა „სახალხო ფურცელმა.“

ქიაჩელის პირველი რომანი „ტარიელ გოლუა“ (1916) უახლესი ქართული ლიტერატურის საეტაპო თხზულებაა. რომანი ასახავს 1905 წლის რევოლუციას სამეგრელოს სოფლის ფონზე. მწერალი წარმოგვიდგენს თაობათა სრულ იდეოლოგიურ ერთიანობას კლასობრივი ბრძოლის პირობებში. თანამოაზრენი არიან მამაშვილი — სიბრძნითა და ქედუხრელობით ცნობილი მშრომელი გლეხი ტარიელ გოლუა და „ერთობის“ მოთავე ახალგაზრდა ლევანი. ამ რომანშივე პირველად იჩენს თავს მამაშვილური სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის იდეა, რომელიც გასდევს ქიაჩელის მთელ შემოქმედებას („ალმასგირ კიბულანი“, „მამა და შვილი“, „მთის კაცი“). რომანში ნაჩვენებია რევოლუციური ბრძოლის აღმავლობა, ხალხის ერთსულოვნება, რეაქციის მძვინვარება სოფლად. ღრმად ოპტიმისტურია რომანის ეპილოგი.

ქიაჩელის მომდევნო რომანი „სისხლი“ (1926-27) წარმოსახავს რეაქციის ხანას საქართველოში. მენშევიკური ფრაქციის წარმომადგენელი არჩილ დადაშიანი კეთილშობილი, მაგრამ მერყევი ბუნების კაცია. მისი პიროვნება თითქოს ასახიერებს ქართულ მენშევიზმს, რომელიც საბოლოოდ ნაციონალიზმში ეფლობა. რომანში არ ჩანს მკვეთრად ის ძალა, რომელსაც მიჰყავს რევოლუცია აღმავლობისაკენ.

ნოველებში ქიაჩელმა დიდი მხატვრული სიმართლითა და ფსიქოლოგიური სიღრმით გადმოსცა ყოფილი თავადების სოციალური და პიროვნული კატასტროფა („თავადის ქალი მაია,“ 1927), შვილის დამკარგავი მამის მძაფრი სულიერი ტრაგედია („ალმასგირ კიბულანი,“ 1925), ორი ურთიერთდაპირისპირებული მორალური მრწამსის ჭიდილი („ჰაკი აძბა“ 1933).

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ქიაჩელის რომანმა „გვადი ბიგვამ“ (1936-37); სსრკ-ის სახელმწიფო პრემია, 1941), რომელშიც წარმოდგენილია 30-იანი წლების ქართული სოფლის ცხოვრება: შენიღბული რეაქციული ძალები (არჩილ ფორია), კერძომესაკუთრული ფსიქიკით შეპყრობილი გლეხობა (გოჩა სალანდია), სიზარმაცე და ცუღლუტობა (გვადი ბიგვა). რომანის იდეური ხაზია ახალი ადამიანის ჩამოყალიბება. გვადის ფერისცვალება ფსიქოლოგიური ტაქტით არის წარმართული; საკუთარ კაცურ ღირსებაში დარწმუნებას და არჩილის ზეგავლენისაგან თავდახსნის სიხარულს მოსდევს არჩილის უნებლიე მკვლელობა — სისხლიანი ზღვარი დღევანდელსა და ხვალინდელს შორის.

სამამულო ომის მძვინვარე დღეებში შვილის დაღუპვით აფორიაქებულმა მწერალმა მოიარა ყირიმის ადგილები, სადაც იბრძოდა მისი ერთადერთი ვაჟი ოთარი და თბილისში დაბრუნებულმა დაწერა რომანი „მთის კაცი“.

ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და „მთის კაცი“ ითარგმნა მსოფლიოს 12 ენაზე.

ლეო ქიაჩელი ნაყოფიერი სამწერლო მუშაობის პარალელურად ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი იყო გაზეთ „ლომისის“ რედაქტორი, მრავალი ჟურნალისა და გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი. მწერალმა დაწერა კინოსცენარი ფილმისთვის „ნარინჯის ველი“, მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაიღეს ფილმები: „ტარიელ გოლუა,“ „თავადის ქალი მაია“, „გვადი ბიგვა“.

ლეო ქიაჩელი გარდაიცვალა 1963 წლის 23 დეკემბერს, დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

1966 წლის 27 ნოემბერს მწერლის საფლავზე დაიდგა მოქანდაკე გ. ოჩიაურისა და არქიტექტორ თ. მიქაშავიძის მიერ ორიგინალურად გადაწყვეტილი ლეო ქიაჩელის ძეგლი.

1984 წელს მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავზე მშობლიურ ობუჯში გაიხსნა ლ. ქიაჩელის სახლ-მუზეუმი.

ნარდი

ლეო ქიაჩელს ძალზე უყვარდა ნარდის თამაში. ყოველ საღამოს მასთან იკრიბებოდნენ მეგობრები, კამათელს აამღერებდნენ, ფსონში მცირე თანხას ჩადებდნენ და მანამ ერთობოდნენ, სანამ სასადილო ოთახში სუფრა არ გაიშლებოდა და დიასახლისი არ მიიწვევდა სტუმრებს. მოგებული თანხა კვლავ წაგებულთ უბრუნდებოდა.

ერთ ზამთრის საღამოსაც ეწვივნენ მწერლები. თამაში გვიანობამდე გაგრძელდა. სამზარეულოდან მადის აღმძვრელი სურნელი გამოდიოდა. დინჯი, თავაზიანი, მაგრამ უაღრესად ჟინიანი მონარდე ლეო ზედიზედ, აგებდა, უეცრად გაფიცხდა, — ბატონებო, დროა შინ წაბრძანდეთო, — მკაცრად თქვა და წამოდგა. აღარც წაგებული ფული დაიბრუნა და მეგობრებს კარი მიუხურა.

შემცბარი მონარდენი, რაღას იზამდნენ, მიაშურეს დუქანს და განთიადამდე მოილხინეს. მერე ეტლით გაისეირნეს რიჟრაჟჩამდგარ ქალაქში. უეცრად ცხენმა წაიფორხილა, გაყინულ მიწას დაასკდა და წინა ფეხი კოჭში მარილივით გადაემსხვრა.

ჩამოცვივდნენ მეინახენი, შემოეხვივნენ ცხენსა და თავზარდაცემულ მეეტლეს. ადამიანივით გმინავდა პირუტყვი. ცრემლი წასკდათ მისი ცოდვით. ერთერთმა გულისჯიბიდან ამოიღო ლეო ქიაჩელის წაგებული ფული, მეეტლეს უბეში ჩაუტენა — უმკურნალეო...

მეორე დღეს უამბეს ლეოს ეს ამბავი.

გული ამოუჯდა — რა კეთილი საქმე გიქნიათ, ყმაწვილებოო, — წარამარა იმეორებდა. მერე ყველანი შინ მიიწვია ნარდის სამღერლად და მოსალხენად.

* * *

კონსტანტინე გამსახურდია და ლეო ქიაჩელი საუბრობდნენ „ტყუილის ფენომენზე“. კონსტანტინე ბატონს მრავალი უცხოური მაგალითები მოუყვანია, ლეო ქიაჩელს კი უთქვამს: ტყუილი, როგორც ასეთი, ერთი წალენჯიხელი გენიოსის დარად არავის განუმარტავსო. ვინ იყო, ან რა თქვა ამისთანაო, უკითხავს დიდოსტატს.

„ართი უნოცელე ჯასგ
უკუჩხე ჩიტ გილახედგ,
უხელეთ ობჭოფიდო
უხელეთ გოპუპტორი,
უდაჩხირეთ დობჭვიდო
უკიბირეთ დობხუტორი!..“ —

წაუკითხავს ერთი ამოსუნთქვით „ჰაკი აძბას“ ავტორს.

ეს ამბავი ბაბუაჩემმა, მეგრული სიმღერების დიდებულად შემსრულებელმა და ფოლკლორული ნიმუშების შემგროვებელმა გუგუტა გვასალიამ მითხრა.

ლაშა გვასალია, მწერალი

ლეო ქიაჩელს

(ფრაგმენტები ლ. ქიაჩელის დაბადების 70 წლისთავზე მოხსენებასთან ერთად წაკითხული ლექსისა, მწერლის მშობლიურ სოფელში მისი სახელობის ბიბლიოთეკის გახსნაზე).

რა თბილი გული გქონია,
ხალხისთვის ღამის მთეველი;
რა კალმის მოსმა გცოდნია,
ცეცხლივით დაუძლეველი.
დღეს რომ გარტყია რკალადა
ეს სიყვარულის ზღუდეა.
ირგვლივ რომ ჰყვავის გარშემო
ეს მშობლიური ბუდეა.
გმირების კერად ანთია
შენი მშობელი ლაკადა,
სიცოცხლე მოედინება
აღმასვლის მზიურ ნაკადად.
შეხედეთ — მკერდზე უბრწყინავთ
გმირობის ნიშანთაგანი.
ეს შენი გიო მოვიდა,
შენი ბეჟანიც აქ არი.
ტკბილი ქართველის სახე ხარ,
მისი სიდინჯის მსახველი,
ცოცხლობენ შენი გმირები,
მარადჟამს დაუძრახველი.
თუმცა გულს ურვა დაეტყო,
წარსულის შხამით ნაბური,
შენს სიტყვას ცეცხლი ახელებს,
თაფლი და სიტკბო ნაჟური.

შოთა ფიფია

ლეო ქიაჩელის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნასთან დაკავშირებით ჩამოსული მწერლები ობუჯში.
სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ დგანან ქართველი მწერლები: ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე, დავით სულიაშვილი, ისტორიკოსი შოთა მესხია. 1956 წელი.

ნატო ვაჩნაძე — დაბადებიდან 110, ტრაგიკული აღსასრულიდან 61 წელი



ნატო გიორგის ასული ანდრონიკაშვილი დაიბადა 1904 წლის 14 ივნისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში. მამამისი — გიორგი ანდრონიკაშვილი ოფიცრად მსახურობდა ვარშავაში. მალე გიორგი თერგის ოლქის უფროსად დანიშნეს, ხოლო 1910 წელს მთელი ოჯახით საქართველოში გადმოდის. ნატოს დედა — ეკატერინე სლივიცკაია პოლონელი იყო.

ნატოს მამა ადრე გარდაეცვალა... ოთხი ბავშვი ობლად დარჩა. დედამ შვილები კახეთში წაიყვანა. ბიძამ ოჯახი სოფელ ფხოველში შეიფარა. მალე ეკატერინემ პატარა სახლი გურჯაანში ააშენა და საცხოვრებლად იქ გადავიდნენ.

ნატო და მისი უფროსი და სწავლობდნენ თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში. უმცროსი და-ძმა კი გურჯაანის პირველ დაწყებით სკოლაში.

ნატო თბილისში მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა. ის შემთხვევით აღმოაჩინეს. მისი ფოტოსურათი ფოტოატელიეში შეამჩნია ბეკნაზაროვმა, რომელმაც თავისი ასისტენტი შაქრო ბერიშვილი გურჯაანს მიავლინა ნატოს მოსაძებნად...

* * *

1927 წელს ნიკოლოზ შენგელაია დამოუკიდებლად იწყებს მუშაობას ახალ ფილმზე. იგი რეჟისორ ლევ პუშთან ერთად დგამს ფილმს „გიული,“ სადაც მან სახელგანთქმულ მსახიობ ნატო ვაჩნაძეს მთავარი როლის შესრულება შესთავაზა...

ფილმზე მუშაობა გარდატეხის მომენტი შეიქმნა ნიკოლოზ შენგელაიასა და ნატო ვაჩნაძის, როგორც შემოქმედებითს, ისე პირად ცხოვრებაში. ფილმზე მუშაობის დროს ჩაეყარა საფუძველი იმ დიდ მეგობრობას, რომელიც ნ. შენგელაიასა და ნ. ვაჩნაძის ქორწინებით დაგვირგვინდა. ჭეშმარიტმა ხელოვანებმა ერთმანეთი შეიცნეს და ერთმანეთისადმი განსაკუთრებული სიყვარულით აღივსნენ...

ნატო ვაჩნაძე მოგვიანებით იხსენებდა: „ნიკოლოზ შენგელაიასთან მუშაობამ გარდატეხა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში. კოლია შემიყვარდა. მასში დავინახე ადამიანი, რომელსაც თავი მთლიანად ხელოვნებისათვის შეეწირა, შენგელაია ახალგაზრდა იყო, მაგრამ მას შეეძლო ჩემი სწორ გზაზე დაყენება, მუშაობაში კარგი რჩევის მიცემა. მასთან თავი ისე მეჭირა, როგოც ჩემი ცხოვრების რეჟისორთან. თუ ხელოვნებაში რაიმეს მივაღწიე, მე დავალებული ვარ ნ. შენგელაიასაგან, რომელიც დამარცხებებს არ ურიგდებოდა... იგი ჩემთვის ბედნიერების წყარო იყო. ძნელია პირადი ცხოვრების ხელმეორდ დაწყება, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტები, რომლებსაც ვერ გაუმკლავდები... მერაბ ვაჩნაძეს გავეყარე და ცოლად შენგელაიას გავყევი. სხვანაირად მოქცევა მე არ შემეძლო...“

ბიმურზოლა

გული მკერდში ისე ყავდა,
როგოც ვეფხვი გალიაში,
ფესვებჩასკვნილ მუხას გავდა,
დაგორებულ კლდეებს მთაში.
მოფიქრება ვაჟკაცს შვენის,
გულს კლდეებზე მარდად ხტომა,
კუნთი ჰქონდა ურა ცხენის,
და ბედის ცდა მოინდომა.
რამე მღვრიე ენგურს ფარავს,
ძარღვი კისერს ხუთავს ღვედად,
ველარ ითმენს მთაზე კარავს
და შეხვედრას უცაბედად.
ქარი ფაფარს აფრად ფანტავს,
გზა ევლება მთას მოხვეულს,
ვაჟკაცს ვერვინ დაუძრახავს
თრობის სისხლში გამოხვეულს.

ნიკოლოზ შენგელაია

* * *

ქართული კინოვარსკვლავის — ნატო ვაჩნაძის მიერ შესრულებული უკვდავი როლები ქართულ კინემატოგრაფიაში:

ნინო — „არსენა ყაჩაღი“ (1914 წ.);
ნუნუ — „მამის მკვლელი“ (1924 წ.);
ესმა — „სამი სიცოცხლე“ (1925 წ.);
დესპინე — „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ (1925 წ.);
ფატი — „ვინ არის დამნაშავე“ (1925 წ.);

კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით ჩამოსული სტუმრები

გიული — „გიული“ (1927 წ.);
ევროპელი ქალი ჯემა — „კრაზანა“ (1928 წ.);
ციცია — „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (1933 წ.);
თამარი — „უკანასკნელი მასკარადი“ (1933 წ.);
ნენო — „არსენა“ (1937 წ.);
მეჩაიე ნანი — „ნარინჯის ველი“ (1937 წ.);
ნათელა — „სამშობლო“ (1939 წ.);
გვირისტინე — „ხიდონელი ქალიშვილი“ (1940 წ.);
მართა — „ქაჯანა“ (1941 წ.);
მანანა — „ის კვლავ დაბრუნდება“ (1943 წ.);
ძიძის მანოს როლი — „აკაკის აკვანი“ (1947 წ.);
ელისაბედი — „მწვერვალთა დაპყრობანი“ (1952 წ).

* * *

ნატო ვაჩნაძის მემორიალური სახლ-მუზეუმი გახსნილია ვაჩნაძეთა საგვარეულო სახლში გურჯაანში 1981 წელს. მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია მსახიობისა და მისი ოჯახის წევრთა მემორიალური ნივთები: XIX-XX სს. დასაწყისის ავეჯი, ხალიჩები, ფარდაგები, ჭურჭელი, ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, ფოტომასალა, დოკუმენტები, მსახიობის შესახებ გამოცემული წიგნები, კინოფილმების ასლები ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით.

გურჯაანში, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის გახსნის დღეს, სიტყვით გამოვიდა, წალენჯიხის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე, ქალბატონი გოგოლა მესხია:

„...ყველას, ყველა ქართველს აქვს უფლება იამაყოს ნატოთი, მაგრამ ჩვენ — წალენჯიხელებს, ობუჯელ მშრომელებს — განსაკუთრებული საფუძველი გვაქვს ამისთვის. ნატო ხომ რძალი იყო ჩვენი — უკვდავი კინორეჟისორის ნიკოლოზ შენგელაიას მეუღლე. ნიკოლოზ შენგელაიას სოფელი ეს ის დიდებული სოფელია, რომელმაც აწოვა ძუძუ ლეო ქიაჩელს, დემნა შენგელაიას, შოთა მესხიას. ეს იმ რაიონის სოფელია, სადაც დაირწა ნატიფი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის აკვანი.

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე სამეგრელოს წილად ხვდა ბედნიერება ყოლოდა ორი ღირსეული რძალი კახეთიდან: ეკატერინე ჭავჭავაძე და ნატო ვაჩნაძე... ერთმა საქართველოს შემოუნახა გენიალური განდეგილი სულის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შთამაგონებელი პოეზია, მეორემ ქართველი ქალის სულიერი, და ფიზიკური სილამაზე მსოფლიო მასშტაბით გააბრწყინა.

წალენჯიხელებისათვის დაუვიწყარია 1949 წლის 29 აგვისტო — ნატოს სტუმრობა, დიდი და პატარა სიყვარულითა და სიხარულით ეგებებოდა თურმე. მაგრამ ვაი, რომ ბედის უკუღმართობამ სულ მალე ტრაგიკულად შეინირა ყველასათვის ესოდენ სანუკვარი სიცოცხლე. „როცა მოვკვდები — ამბობდა თურმე ნატო — აქ, გრემში, პანტის ხის ქვეშ დამმარხეთ. მინდა მაღლიდან ვუცქირო საქართველოს მთაბარს, ალაზნის დაბლობს, სამეგრელოსაც დავინახავ აქედან!“

მართალია, ნატოს მეგობრები ამ სურვილს ვერ შეუსრულებდნენ, რადგან ნატო, როგორც საქართველოს კუთვნილება, დიდუბეს უნდა ჩაეკრა გულში, მაგრამ მისი ბედის უკუღმართობაში ერთი სურვილის ასრულება ეწერა თურმე: მან უკანასკნელად მოავლო თვალი სამეგრელოს და მისი სათაყვანებელი მეუღლის, მისი ცხოვრების რეჟისორის ნიკოლოზ შენგელაიას მშობლიური სოფლის თავზე დაიფერფლა.

ამბობენ, პეტრარკამ დაიბარა: სიკვდილის შემდეგ მისი საფლავის ქვაზე წაეწერათ სიტყვები, რომ ის საფლავში კი არ წევს, არამედ ადამიანებშია. ეს გენიალური სიტყვები სრული უფლებით შეიძლება გავიმეოროთ ნატოს მიმართაც. ნატო არ მომკვდარა, ის მუდამ იცოცხლებს, იბრწყინებს, როგორც ქართული უნიკალური კულტურის ღირსეული მოღვაწე.

ერს უხარია, რომ ნატოს და ნიკოლოზის ნაშიერნი — ელდარ და გიორგი შენგელაიები ასე სახელოვნად შესდგომიან კინოხელოვნებას და ზენიტისაკენ მიიწევენ.

ნატოს სახლ-მუზეუმში მეგრული ნაბდით შემოვაბიჯეთ, ასე გვგონია, იქ სადაც ნატოს სილამაზე ისადგურებს, განუყრელად ივლის მეგრელი ვაჟკაცი თავისი ნაბდით და გაგრძელდება პოემა სიყვარულზე, სილამაზეზე...“

* * *

გადაწყვეტილი გვქონდა მოგვენახულებინა კატასტროფის ადგილი... დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია რომ ექვსი ათეული წელი გვაშორებს იმ ტრაგიკულ დღეს...

იდგა ჯანღიანი 22 იანვარი. თავდაპირველად ექვსნი ვიყავით: ჩვენი მასწავლებელი ვალერი ძაძამია, მეგზური შალვა კაკაჩია, მოსწავლეები — სალომე ხარებავა, რეზო ხარებავა, გია კაკაჩია, გიორგი ძაძამია. გზად აქა-იქ მოყელყელავე ფურისულებიც დავკრიფეთ, გავიარეთ რცხილის ხეივანი, გადავლახეთ მდინარე თარჩია, რომელიც, პოეტს თუ დავესესხებით „ხან ბობოქარი, ხანაც ჩაქჩაქაა...“ ავივაკეთ და გამოჩნდა გზაგასაყარი. სწორედ იქ შევხვდით ჩვენს თანასოფლელს ნუგზარ კონჯარიას, რომელიც შემოგვიერთდა და იმ ადგილებისკენ წაგვიძღვა.

უნდა ვაღიაროთ, რომ არა ნუგზარ კონჯარიას და შალვა კაკაჩიას მეგზურობა, ჩვენ ძალზე გაგვიჭირდებოდა იმ ადგილებამდე მისვლა, სადაც თვითმფრინავმა განიცადა კატასტროფა. ეს არის ობუჯთან მომიჯნავე გრიგოლიშის ტერიტორია. მოგეხსენებათ იანვრის თვეში დღის ხანგრძლივობა მაინცდამაინც თვალში საცემი არაა. აქ ხშირია წაბლის, წიფლის, რცხილის ხეები. მართლაც დაბურული იყო ირგვლივ ყველაფერი. უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის „მსახვრალი ხელი“ ამ ადგილსაც დასტყობია, ბევრგან გაუჩეხავთ ტყის მასივი, ამიტომაც ეკალ-ბარდი მომძლავრებულა და სარტყელივით მოსდებია არემარეს. ეს უკვე საკმაო დაბრკოლებას წარმოადგენდა



სპეციალურად „ნოჯიხურისთვის“ — ადგილი, სადაც 1953 წლის 14 ივნისს ჩამოვარდა მოსკოვი-თბილისის რეისის („ილ-14“) თვითმფრინავი. ნატო ვაჩნაძის ძეგლი. ძეგლზე ასეთი წარწერაა: „ამ ადგილას 1953 წლის 14 ივნისს განიცადა კატასტროფა სამგზავრო თვითმფრინავმა მოსკოვი-თბილისი. ეკიპაჟი და მგზავრები დაიღუპნენ. მათ შორის იყო სამეგრელოს რძალი, ქართული კინოს ვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე. 1904-1953 წწ. ეს მოხდა ნატოს დაბადების დღეს.

ჩვენთვის. თანაც წინა დღეების ნაწვიმარიც იყო. გაშიშვლებული ხეები გარინდულნი იდგნენ თოვლისა და წვიმის მოლოდინში. ეკლიან-ტყიანი მასივის თითქმის ოთხი კილომეტრი ფეხით გავიარეთ. დაახლოებით საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, კატასტროფის ადგილს რომ მივაღწიეთ. საკმაოდ შებინდულიც იყო. გზად დაკრეფილი ფურისულები ნატო ვაჩნაძის ძეგლთან დიდი სიყვარულით მივიტანეთ და... ციფრული აპარატიც მოვიმარჯვეთ. გადავიღეთ ბევრი კადრი. დავათვალიერეთ მიმდებარე მიდამოებიც... ნატოს ძეგლის უკან გველეშაპის ხახას დამსგავსებული ხევი მოჩანდა, სადაც ჩავარდა თვითმფრინავი და რომლის

→ 7

6 ←

ძრავის დეტალები ახლაც იქ ყრია, თუმცა საღამოს ბინდ-ბუნდში იმის გარჩევა უკვე შეუძლებელი იყო...

ჩვენ დავინტერესდით, თუ ვინ იყო ამ მშვენიერი ძეგლის დადგმის ინიციატორი. ობუჯელ ნუგზარ კონჯარიას თქმით, ინიციატივა ეკუთვნით მარდონ და ქუნთუ კაკაჩიებს. ყველამ კმაყოფილება გამოვხატეთ და უფალს შევავედრეთ ნეტარხსენებულთა სულები...

ამასობაში შემოგვაღამდა, გზაც აგვერია, მაგრამ ისევ იყოჩაღა ნუგზარ კონჯარიამ და სამშვიდობოს გამოგვიყვანა... მერე წვიმაც დაიწყო. მართალია, შინ დაღლილ-დაქანცულნი, ატალახებულნი ვბრუნდებოდით, მაგრამ, მაინც დიდად კმაყოფილნი ვიყავით განცდილ-ნანახით. გზად იმაზეც კი ვმსჯელობდით, რომ მომავალში მაინც თუ იქნებოდა ადგილობრივ ხელისუფალთა ნება, ადვილი შესაძლებელი იყო ნატო ვაჩნაძის ძეგლისკენ მიმავალი გზის მოწყობა, ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის საიმედო შემოკავება, დაცვა და ასე შემდეგ. მაგრამ ისევ ვიმეორებთ, გადამწყვეტი მაინც ხელისუფალთა ნებაა!

სალომე ხარებავა,
ობუჯის საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე

ნატო ვაჩნაძის ხსოვნას

რამდენი დამწვარა ცის ლაჟვარდ
გუმბათზე,
რამდენი სინათლე გვინახავს თვალითაც,
შენ მზეში იწვოდი პირბადრი მთვარითაც,
და დღესაც კაშკაშებ დღისით და ღამითაც...
აი, ეს ქვეყანა, საოცრად აღსავსე
არასდროს ბინდდება შენი მზით გამთბარი,
მაკვირვებ, რომ ციდან მომწყდარმა
გაგვძახე
დაღუპვის, დაცემის, დაკარგვის ამბავი!
ამდენი ხმაური და მეხის გასკდომა
ვით შესძელ უმანკო, ქართველმა ასულმა,
ან როგორ აჰკიდე ბუნებას ცოდვები,
ან მიწის ბრალობა ლაჟვარდში ასულმა!
რამდენი ვიფიქრე... რამდენჯერ დავეცი...
რამდენჯერ დავფიქრდი, კალამთან გიწამე...
გეძებე, ვერ გპოვე, გეძახი ხმამაღლა,
და აქ კი დატოვე ცრემლი და სიმწარე!..
აქ ხშირად ქარბუქი დაჰქრის და ზუზუნებს,
შორს ჭოტი კივილით ღამეებს ათენებს,
აქ სუნთქვაშეკრული, აქ სიკდილმისჯილი
პატარა ბუჩქნარი მწარე დღეს მაგონებს...

დარვინ მესხია
1953 წ.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: შალვა კაკაჩია, ნუგზარ კონჯარია, ვალერი ძაძამია; სხედან: რეზო ხარებავა, გია კაკაჩია, გიორგი ძაძამია. 22.01.2014 წელი. სალომე ხარებავას ფოტოები

ენათმეცნიერება

მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური ენებია და არა დიალექტები, რადაც მათი დამტკიცება ზოგიერთებს სურთ



მეგრული ენა არის მეგრული ენა, იგი ლინგვისტურად არ არის კილო, არც დიალექტი.

ნიკო მარი

მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური ენები რომ ცალკე ენებია, ამას ენათმეცნიერებაში მიღებული შეხედულებებიც უეჭველად ადასტურებს. საკითხი ეხება ბგერათშესატყვისობას და ურთიერთგაგებინების დონეს.

ამაზე რომც არაფერი ვთქვათ:

არავითარი სპეციალური ენათმეცნიერული განათლება არ არის საჭირო იმისათვის, რომ ვერკვეოდეთ: მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური დიახაც წარმოადგენენ ცალკე დამოუკიდებელ ენებს, — მოძმე ქართველურ ენებს. ნებისმიერი მეხუთე-მეექვსე კლასელი ბავშვისათვისაც უთუოდ ადვილი გასაგებია შემდეგი რეალობა:

მეგრული, ჭანური და სვანური რომ ენები არ იყვნენ და ქართულის ისეთივე დიალექტები იყვნენ, როგორიცაა კახური, იმერული, გურული, და სხვა:

1). განა შეიძლება, შედგენილ იქნას მეგრულ-ქართული, სვანურ-ქართული, ლაზურ-ქართული, სვანურ-მეგრული და მისთანა ლექსიკონები, და რატომ არ შეიძლება ქართულ-ქართლური, კახურ-ქართული, კახურ-გურული, იმერულ-კახური და მისთანა ლექსიკონების შედგენა? ანდა:

2). რატომ ითარგმნება მეგრული, ლაზური და სვანური ქართულად და ასევე რატომ არ ითარგმნება ქართლური, კახური, გურული და სხვა?

3). რატომ შეიძლება დაიწეროს ლექსები და შესრულდეს სიმღერები სვანურ, მეგრულ და ლაზურ ენებზე, და არ შეიძლება, იგივე, — გურულ, კახურ, ქართლურ და სხვა დიალექტებზე?

4). რატომ სჭირდება შესწავლა ქართულისა მეგრელს, ლაზს, სვანს და არ სჭირდება იგი ქართლელს, კახელს, იმერელს და სხვებს?

5). ვინმეს სმენია ან წაუკითხავს სადმე, ცნებები: კახური ენა, იმერული ენა და მისთანანი, და, ვის არ სმენია და არ წაუკითხავს ცნებები: მეგრული ენა, ჭანური ენა, სვანური ენა?

6). განა შემთხვევითია, რომ ენების ძალზე დიდ ნაწილში, საუკუნეების მანძილზე უმთავრეს სამეტყველო ორგანოს — ენას და მეტყველების საშუალებას ენას, ერთი და იგივე სახელები ჰქვია. მაგ.: ქართული ენა, ენა; მარგალური ნინა, ნინა; რუსსკიი იაზიკ, იაზიკ; ლაზური ნენა, ნენა და სხვ. რას დაარქმევენ, ამ თვალსაზრისით, მათ, კახურად, გურულად, ფშავურად და ასე შემდეგ, ისინი, ვინც მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ამათთან ათანაბრებენ?

აქ კომენტარები ზედმეტია. და მაინც, კიდევ ერთ ფრიად დიდმნიშვნელოვან გარემოებაზე:

იბერი, ივერი თავდაპირველად ეწოდებოდათ მეგრელებს და ქრისტეს გაჩენამდე საქართველოს აღმოსავლეთზე მათი პოლიტიკური ჰეგემონიის შედეგად აქ მძლავრობდა მეგრული ენა.

იოსებ ყიფშიძე

როგორც ეს ჩვენი გამოკვლევებით არის წარმოჩენილ-დამტკიცებული, მეგრული ენა მსოფლიოს ენებს შორის გამორჩეულია ლექსიკის განსაკუთრებული, გასაოცარი, დიახ ფანტასტიკური სიმდიდრით. იგი 1 მილიარდ 410 მილიონამდე სიტყვას ითვლის პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმირებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია 500 მილიონი (თუ არა მეტი სიტყვა). ამრიგად:

7). სხვა რომ არა იყოს რა, განა შეიძლება, ასობით მილიონი სიტყვის მქონე ენა იყოს დიალექტი რომელიმე ათობით, გნებავთ, ასობით ათასი სიტყვის მქონე ენისა?

ცალკეული „სპეციალისტების“ მიერ მეგრულის, ლაზურისა და სვანურის დიალექტებად გამოცხადების ცნობილი მცდელობა, მათი დისკრედიტაციის, ამ ენებისა და მათი მატარებელი ხალხების გადაშენების დანაშაულებრივ მიზანს ემსახურება, რაზედაც ჩვენ, სხვა დროს, სპეციალური სტატიები გვაქვს გამოქვეყნებული და საზოგადოებამაც კარგად იცის.

მამანტი ძაძამია —
პროფესორი, აკადემიკოსი
ცირა ძაძამია —
პროფესორი, აკადემიკოსი
წიგნიდან: „ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება“.

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა.

აკაკი შანიძე

შეჩერდი, წამო...

29 მაისი — მეგრული ენის დღე ზუგდიდში!

სურათზე: მარცხნიდან — ცირა ძაძამია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“ ვიცე-პრეზიდენტი; ელეონორა მებონია; ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე; თამაზ თოლორაია; მამანტი ძაძამია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“ პრეზიდენტი; შუკო ჯიქია, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ვალერი ძაძამია. ზუგდიდი, 29 მაისი, 2014 წელი.

გაცოცხლებული კოლხეთი

ლაზისტანის ბულბული

(მცირე შემოკლებით)

2005 წლის 26 ივნისი. 11 საათი. სტამბოლის ყველაზე დიდ საზაფხულო თეატრში შეკრებილი 10 ათასზე მეტი ადამიანი ტაშს უკრავს, სკანდირებს. არიან ისეთებიც, ვინც მოზღვავებულ ემოციას ვერ იკავებს და ტირის. ბევრი ცუდად ხდებდა და გული მისდის.

ცოტა ხანში პროცესია ქუჩაში ინაცვლებს, სტამბოლის ცენტრალურ მაგისტრალებზე რამდენიმე წუთით საავტომობილო მოძრაობა ჩერდება. აზიის უდიდეს მეგაპოლისს მსგავსი მოვლენა თითქმის საუკუნეა არ ახსოვს, მით უფრო, რომ პროცესიას მეგრული სიმღერა „დიდოუ ნანა“ მიჰყვება.

იმ დღეს ათასობით ადამიანი ყველაზე ცნობილ ლაზ მომღერალს, 33 წლის ქაზიმ ქოიუნჯუს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა.

ქაზიმ ქოიუნჯუ 1972 წლის 7 ნოემბერს დაიბადა ხოფის ილჩეში, სოფელ პანჭოლში. პანჭოლი ძველი ლაზური სახელწოდებაა, ამჟამად მას იეშილ ქოი, ანუ მწვანე სოფელი ჰქვია. აქ მთები ზღაპრულ ფალავნებს გაგონებს, რომელთა კენწეროებს თითქოს ოხშივარი ასდის. ამ ნისლების საუფლოდან მზის სხივები კანტიკუნტად აღწევს. დაბურული ტყეები, პატარა, მაგრამ მარდი მდინარეები, ხასხასა მცენარეები კოლხური კეკლუცი ბუნების საუკეთესო განსახიერებაა.

ქოიუნჯუების პატარა, მოხდენილი სახლი სოფლის შუაგულში მაღალი მთის კალთაზე დგას, მისკენ ერთადერთი საცალფეხო გზა მიდის. ქაზიმის დედა, გურჯი ქალბატონი უსნიე ქოიუნჯუ, ახლა სწორედ იმ ოთახთან ზის, სადაც ქაზიმი დაიბადა.

უსნიე ქოიუნჯუ, ქაზიმის დედა — ჩემი ექვსი შვილიდან ქაზიმი ყოველთვის წყნარი და მშვიდი ხასიათით გამოირჩეოდა. ყველაზე ახლოს ძმებთან იყო, მათთან მეგობრობდა: მისთვის ადამიანობა უპირველესი ღირსება იყო. ლამაზი კოლხური ბუნება, მარდი და ენამოსწრებული თანასოფლელები, ლაზური სიმღერები და ფოლკლორი მის ბავშვურ სამყაროს ნათელი ფერებით ავსებდა. ქაზიმი მუსიკით სკოლაშივე დაინტერესდა.

შემოქმედის ნამდვილ სიცოცხლეს ქაზიმმა ბოსფორის პირას მიაგნო. 1989 წელს მან სტამბოლის უნივერსტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა. სტუდენტებს შორის გამორჩეული იყო. თუმცა ქაზიმის შინაგანი და პოლიტიკური მსოფლმხედველობა იმდროინდელი ახალგაზრდობის აზროვნებასთან ვერ თანხმდებოდა. ამიტომ ქოიუნჯუმ მალე სწავლას თავი დაანება.

1990 წლიდან ქაზიმმა თანამედროვე ხელოვნების სალონში დაიწყო მუშაობა, 1991 წელს კი ალი ელვერთან ერთად მუსიკალური საზოგადოება „დინმეიენი“ ჩამოაყალიბა. ახალგაზრდა ქოიუნჯუ თანდათან სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭდა.

ხელოვანთა სფეროში ქაზიმი თანდათან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მიღებული პიროვნება გახდა, მოფერებით მეტსახელიც კი შეარქვეს — დინა. ქოიუნჯუს თვითონ ძალიან მოსწონდა ეს სახელი.

1993 წელს დინას შემოქმედებში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, ლაზური მუსიკის გადარჩენის მიზნით იგი მემედ ალი ბარიშ ბეშლისთან ერთად ჯგუფ „შუქს“ აყალიბებს.

მემედ ბეშლი — 1993 წელი იყო, ანატოლიაში წავედი. ქაზიმი იქ გავიცანი. თეატრში მუშაობდა, სპექტაკლებისთვის მუსიკას წერდა. ერთმანეთს ძალიან დავუახლოვდით. ვუთხარი, მე ლაზი ვარ, შენც ლაზი ბრძანდები-მეთქი. ამ სიტყვებით ერთმანეთს უცებ გავუგეთ. ერთნაირად ვაზროვნებდით, ერთნაირი გემოვნებისანი ვიყავით. ქაზიმსაც გრძელი თმა ჰქონდა, თან ორივე ვმღეროდით. კარგად ვხვდებოდით, რომ ჩვენი მშობლიური ლაზური ენა თანდათან კვდებოდა. ვფიქრობდით, რა გვექნა, ჩვენი ლაზური ენა როგორ გადაგვერჩინა.

ახლობლებთან, მეგობრებთან ერთად მუსიკალური ჯგუფის შექმნა გადავწყვიტეთ. ეს აზრი ქაზიმსაც გავუზიარე. მაშინვე დამეთანხმა... ათასი დაბრკოლების მიუხედავად, გამოცდილებას ვიძენდით და თანდათან ვხვდებოდით, რომ უმნიშვნელოვანეს საქმეს ვაკეთებდით... ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ლაზური უკვე ცოცხლდებოდა, ახალ დანიშნულებას იძენდა.

1993 წელს დინამ მემედ ალისთან ერთად მსოფლიოში პირველი და ერთადერთი ლაზური როკ-ანსამბლი ჩამოაყალიბა.

„ზღაში ბერეფის“, ანუ „ზღვის შვილების“ პირველი პლაკატი ხელით იყო შექმნილი, ფანქრით დახატული ტალღებიდან ჯგუფის წევრების სახეები მოჩანდა, ქვემოთ კი მიპატიჟების ტექსტი ლაზურად ეწერა.

ეს მამაცობის გამოცდა გახლდათ. იმ წლებში სხვა ენაზე სიმღერაც კი რთული იყო. თურქეთის უბადლო ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც ამ სახელმწიფოს ურღვევობისა და სიმტკიცის თავისებურ მაგალითად იქცა, ბევრს აშინებდა. ქაზიმ ქოიუნჯუ კი, წინააღმდეგობის მიუხედავად, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხის, ლაზების ნამდვილობის ჩვენებას ცდილობდა, ლაზობის დამალვის აუცილებლობას ვერ ხედავდა და თავისი ეთნიკური წარმოშობის გამო აშკარა სიამაყეს გრძნობდა.

მემედ ალი — კონცერტებით ყურადღებას ვიქცევდით. ამით გავყვიროდით: ლაზური ენა კვდება! როგორი ტკივილი გვქონდა, იცი? ეს ტკივილი ცხოვრებას გვიჭამდა, ჩვენს გულებს შანთავდა, ჩვენს ფიქრებს ხრავდა. რატომ? იმიტომ რომ თვალწინ მშობლიური ენა გვიკვდებოდა. მე და ქაზიმი ამ ტკივილით ვიყავით სავსე. ვმღეროდით მხოლოდ ამ გრძნობით. ყველა ჩვენი სიმღერა ლაზურ ენას, ჩვენს ქვეყანას, ყველა ჩვენს გასაჭირს ეძღვნებოდა.

ჰუსეინ ქოიუნჯუ, ქაზიმის ძმა — რატომ გაუჩნდა ლაზური სიმღერისადმი ინტერესი? იმიტომ, რომ თვითონაც ლაზი იყო, ამ კულტურის შვილი. გარეგნობით, შინაგანი ბუნებით ნამდვილი ზღვისპირელი იყო. ლაზური მისი თაობის გარემოცვაში თითქმის არავინ იცოდა. ამიტომ გადაწყვიტა, ეს მდგომარეობა მუსიკით გამოესწორებინა. ახალგაზრდობაში ხმამაღალი როკით იყო გატაცებული, მაგრამ ბოლო ნავსაყუდელი ლაზური ჰანგები აღმოჩნდა.

1995 წელს „ზღვის შვილებმა“ პირველი ალბომი გამოუშვა. კრებულს უცნაური სახელი ერქვა: „არ ვიცით“, ანუ „ვა მიშქუნან“, ალბომში თითქმის დავიწყებული 8 ლაზური სიმღერა შევიდა. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯგუფის წევრებმა თვალნათლივ დაინახეს, რომ როკის დინამიზმით ადამიანებში ენერგიას ბადებდნენ და მსმენელს ლაზური სიტყვებით აღაფრთოვანებდნენ.

ამ ჰანგებით მუსიკოსებმა თავიანთი განწყობა სრულად გადმოსცეს. მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მათ მსმენელის წინაშე ლაზეთის ხიბლი გააცოცხლეს. „ვა მიშქუნან“ თურქეთის ახალგაზრდობამ განსაკუთრებით შეიყვარა.

ოთხი წლის განმავლობაში „ზღაში ბერეფემ“ არაერთი მნიშვნელოვნი საქმე გააკეთა. შეგროვდა და აღდგა ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები. ბიჭები ლაზურ ენასაც აცოცხლებდნენ. შვიდი ლაზური, ერთი ხემშნური და ერთიც თურქული სიმღერისაგან შექმნილი ალბომი „იგზასი“ 1998 წელს გამოვიდა და ძალიან მალე წლის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად აღიარეს.

ერკან ქემელი, „კოლხობა ორგის“ გამომცემელი — რომ არ გარდაცვლილიყო ბევრ მნიშვნელოვან საქმეს გაუძღვებოდა, ისევ იზრუნებდა ლაზურ, ქართულ, თურქულ, მეგრულ ფოლკლორზე.

2000 წლის დასაწყისში პირველი ლაზური როკ-ჯგუფი დაიშალა, ქაზიმ ქოიუნჯუ ცალკე დარჩა. წინ დიდი ხელოვანის გზა ელოდა, რომელზედაც მარტო უნდა ევლო. პირველი სოლო ალბომი — „ზღვის ტალღებზე მონავარდე“, ანუ ლაზურად „ვია“ ქოიუნჯუმ 2002 წელს გამოუშვა. კრებულში შევიდა მეგრული ხალხური ნაღვლიანი სიმღერა „ოუ ნანა“. მეგრული სიმღერა თურქეთში მალევე შეიყვარეს. დინა „ოუ ნანას“ მთელი გრძნობით ასრულებდა, ამიტომ მისი სიმღერა მარტოსული ბულბულის გალობას უფრო ჰგავდა.

რამიზბეგ ქიაროღლუ, ქაზიმის მეგობარი — მან ლაზური სიმღერები შეცვალა, ლამაზი, ძველი ჰანგები, რომლებსაც მხოლოდ მოხუცები უსმენდნენ, ქაზიმმა ისეთი გახადა, რომ ახალგაზრდებსაც შეაყვარა. ადრე თუ ლაზურ სიმღერებს ქორწილებში მღეროდნენ და ისიც მოხუცები, ახლა ყველაფერი შეიცვალა, ჩვენი ჰანგებით ერთნაირად იხიბლება ყველა თაობის წარმომადგენელი.

ქაზიმ ქოიუნჯუ — როცა ტაქსიმზე ჩვენი რეგიონის სიმღერები მესმის, გული სიამაყით მევსება. ვგრძნობ, რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ, უნიკალურ და უძველეს კულტურას გაქრობის საშუალებას არ ვაძლევთ. მინდა, რომ ეს სიმღერები ყველა თაობისა და ეროვნების ადამიანმა შეიყვაროს და ამით ხალხი უფრო დავამეგობროთ, ერთმანეთთან დავაახლოოთ.

ათასობით ადამიანი დაესწრო ქაზიმ ქოიუნჯუს იმ კონცერტს, რომელიც სტამბოლში, იედიყულის ციხის კედლებში გაიმართა. დინამ საღამო ძველი ლაზური სიმღერით გახსნა. კოლხურმა ჰანგებმა წარმოუდგენელი ეფექტი მოახდინა. ლაზი მომღერალი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მალე ტელეკომპანია „დ-მ“ მიიპატიჟა, სადაც სერიალ „გულბეიაზისთვის“ სიმღერების დაწერა და ერთ-ერთი როლიც შესთავაზეს.

2003 წლის აგვისტოში ქაზიმ ქოიუნჯუ საქართველოში ჩამოვიდა. მას ეს იდეა მეგობარმა, ბაიარ შაჰინ გუნდარიძემ შესთავაზა. ქართველებმა ლაზ თანამემამულეს განსაკუთრებული შეხვედრა მოუწყვეს.

ბაიარ შაჰინი — საქართველოს კუთხეებში მოგზაურობამ, გულთბილმა შეხვედრამ და ანშლაგებით ჩატარებულმა კონცერტებმა ქაზიმ ქოიუნჯუზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჯანან ერდემი — როცა საქართველოდან დაბრუნდა, აღფრთოვანებული იყო, იქაურები ძალიან კეთილშობილები, სტუმართმოყვარეები და თბილი ხასიათისა არიანო. ძალიან კმაყოფილი იყო იქ ჩატარებული კონცერტით, ქართველები საოცრად მუსიკალურები და საოცრად კარგი მსმენელები არიანო, ხშირად ამბობდა. კმაყოფილი ჩანდა ხალხთან შეხვედრითაც. კულტურული დიალოგის დაწყება სურდა და ამიტომ საქართველოში გამგზავრებას კიდევ აპირებდა, თუმცა არ დასცალდა. მე ქაზიმის სახელით სრულიად საქართველოს გულთბილი დახვედრისათვის დიდ მადლობას ვუთვლი.

ჯავით ქოიუნჯუ — ქაზიმის მამა — საქართველოდან დაბრუნებული ძალიან კმაყოფილი იყო. ქართველები ძალიან კარგი ხალხი ყოფილანო. ისინი ჩვენი ძმები არიან და ეს ძალიან მიხარიაო, საქართველო მოსწონდა. ქართველების სტუმართმოყვარეობა და კეთილი გული კი განსაკუთრებით ხიბლავდა.

მემედ ალი — ქაზიმმა თურქეთში ქართული სიმღერა „მოხევის ქალო“ რომ იმღერა, ამას დიდი წარმატება მოჰყვა. ქართული, მართალია, თურქებს არ ესმით, მაგრამ სიმღერა, მისი რიტმი, მუსიკა, ყველას ძალიან მოეწონა. რა კარგი და რა ლამაზი სიმღერაა, სულ ასეთი შეფასებები მესმოდა.

კიდევ ერთმა ჩვენებურმა სიმღერამ ქაზიმ ქოიუნჯუს მსოფლიო აღიარება მოუტანა. მეგრული „დიდოუ ნანა“ მის პროფესიულ კარიერაში ყველაზე წარმატებულ სიმღერად იქცა. ქოიუნჯუს მიერ შესრულებულ მეგრულ ჰანგებს მთელი თურქეთი დღემდე უსმენს.

უსნიე ქოიუნჯუ — ქაზიმის დედა — როცა დამინახავდა, „ნანა ჩქიმი მუჭო რექ“ — მეტყოდა, ხელებს გაშლიდა და ჩამეხუტებოდა, მეც გავუცინებდი და ლაზურზე ლაზურითვე ვუპასუხებდი. ხოფაში წამოსვლას რომ დააპირებდა, აუცილებლად დამირეკავდა და მეტყოდა: დედა, გემრიელი ლაზური ბორეგი — ჩვენებური ხამსიანი ღვეზელი მომიმზადეო.

გაცოცხლებული კოლხეთი — ასე შეაფასეს კრიტიკოსებმა ქოიუნჯუს სიმღერა „სელიმინა“ რომელსაც ავტორმა ლაზეთში, რიზეში, მიაკვლია. სევდიანი ჰანგები და ერთხმიანი სიმღერა საუკუნეებიდან მოძახილს ჰგავდა. ქაზიმის რეპერტუარში ეს ერთადერთი კომპოზიციაა, სადაც თითქმის სრულადაა აღდგენილი ძველი კოლხური მუსიკა.

ქაზიმი ლაზეთში დღემდე მართლაც ეამაყებათ, უბრალო ადამიანებთან შეხვედრისას, მათთან, საუბრის დროს ეს კარგად იგრძნობა. ჩვენი ტელეექსპედიციისათვის სრულიად მოულოდნელი იყო, რომ სოფელ პანჭოლის გამოსასვლელში გლეხებმა, ჩვენი სტუმრობის მიზანი გაიგეს თუ არა, საქმეს თავი მიანებეს, შორიდან გამოგვესაუბრნენ და „სელიმინას“ ჰანგებზე აჟღერებული, ქაზიმისადმი მიძღვნილი ლაზური სიმღერით გამოგვაცილეს.

ქაზიმი აქ არა მარტო ლაზური კულტურის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის უყვარდათ, ის უბრალო ხალხის სატკივარზეც ზრუნავდა, მათი უფლებების დასაცავად იბრძოდა.

ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა, რომ ილეოდა მისი შემოქმედებითი გზა. ქაზიმი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვის თავზეც წვიმამ ინვიმა. 2005 წელს მას ექიმებმა ფილტვის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

33 წლის ახალგაზრდა დაავადებას არ ნებდებოდა, მკურნალობის პროცესში „ტრაპიზონსპორისთვის“ ჰიმნიც კი დაწერა. უკვე დასუსტებული და თმაგაცვენილი, დაგეგმილ კონცერტზე მაინც მივიდა და ერთგული მსმენელი ლაზური ჰანგებით კიდევ ერთხელ გაახარა.

უსნიე ქოიუნჯუ — ავადმყოფობის პერიოდში ძალიან კარგად მექცეოდა, სიკვდილის არ ეშინოდა, პირიქით, მე მაწყნარებდა. მეუბნებოდა, ყველაფერი კარგად იქნებაო, მეც მაწყნარებდა და თავსაც იმხმევებდა. სულ ბოლო დღეს მითხრა, დედა, მოდი ჩემთან, უნდა მოგეხვიოო და მაგრად ჩამიკრა გულში, ძალიან მგრძნობიარე და გულთბილი იყო. მერე მითხრა, წადი, დაისვენე, მე კარგად ვარ, მალე გამოვჯანმრთელდებიო. სწორედ იმ ღამეს გადაიყვანეს რეანიმაციაში, მას შემდეგ მე ჩემი შვილი ცოცხალი აღარ მინახავს, ღმერთმა არც ერთ დედას არ განაცდევინოს მსგავსი სიმწარე.

2005 წლის 25 ივნისს თურქეთის ყველა საინფორმაციო სააგენტომ 33 წლის ქაზიმ ქოიუნჯუს გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

მისი მეგობრების, თაყვანისმცემლების, საერთოდ, საზოგადოების რეაქცია ძალიან მტკივნეული იყო. თითქოს დაიკარგა უმშვენიერესი მუსიკის მოსმენის იმედი, იმედი იმისა, რომ ახლო მომავალში დიდი შემოქმედის სახელი გამოჩნდება.

ჰარუნ თოფალოღლუ, მეგობარი — მისი მოღვაწეობის სიტყვებით გადმოცემა თითქმის შეუძლებელია, მე ერთი დანამდვილებით ვიცი, თურქეთმა თავისი ფინქფლოიდი და სტინგის დონის მომღერალი დაკარგა, მისი დამსახურება შავი ზღვის ხალხების, ლაზური ფოლკლორისა და კულტურის წინაშე უდიდესია — შავი ზღვის რეგიონი ქაზიმის გარეშე თითქოს წარმოუდგენელია, ქაზიმის სიკვდილი უდიდესი უსამართლობა იყო.

სტამბოლიდან მომღერალი თვითმფრინავით ტრაპიზონში გადაასვენეს. მის ცხედარს 60 ათასი ადამიანი დახვდა. ხოფის გზაზე ზიგანის მთის ძირში ლაზეთის რჩეულ შვილს მეგობრები კოლხური მუსიკის თანხლებით მიაცილებდნენ. ქაზიმ ქოიუნჯუ მშობლიურ სოფელ პანჭოლში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მთის კალთაზე დაკრძალეს. ლაზეთის ბულბული ისტორიის კუთვნილება გახდა, თუმცა მისმა გალობამ შეძლო ის, რასაც, ალბათ, საუკუნეები და თაობების ძალისხმევა დასჭირდებოდა.

გიორგი კალანდია

რედაქციას მასალები მოაწოდა ზურაბ კვარაცხელიამ.

საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №29,31).

ნეტარია მისი ხსენება, ვინც მამულს შეეწირა... საქართველო არ დაივიწყებს თავისი სასიქადულო შვილების ღვაწლს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 7 ივნისი



ზურაბ ანატოლის ძე კვიკვინია — დაიბადა 1959 წელს ხობის რაიონში. 1982 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი. მუშაობდა სამტრედიის რკინიგზაზე.

1992 წლის 30 სექტემბერს სენაკში დაბანაკებულმა ხუნტის ჯალათებმა წამებით მოკლეს.



ირაკლი კონსტანტინეს ძე ჟვანია — დაიბადა 1913 წლის 4 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში. პედაგოგი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. დეკემბერში, პუტჩის დღეებში, პირველსავე კოლონას გაჰყვა თბილისში. „უტუშ ჯარიშ გომორძგუა!“ — ამ შეძახილით გამოეთხოვა თავის ზუგდიდს. ბატონი ირაკლი ვაიქართველის ნასროლმა ტყვიამ განგმირა 1991 წლის 22 დეკემბერს, მთავრობის სახლის წინ.



ემა ლუდუკის ასული დარასელია — დაიბადა 1967 წლის 15 იანვარს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში. დაამთავრა ხობის საფერშლო ტექნიკუმი. ეროვნულ მოძრაობაშია 1992 წლიდან. ეროვნულ გვარდიაში მედდად მუშაობდა.

1993 წლის ივლისში, აფხაზეთში, სოფელ ტამიშთან აფზახ სეპარატისტებთან ბრძოლისას დაიღუპა. დარჩა 2 მცირეწლოვანი შვილი.



ბორის ლადოს ძე ხალვაში — დაიბადა 1953 წლის 20 მარტს ქ. ზუგდიდში. 1989 წლიდან ეროვნულ მოძრაობაშია. იყო საქართველოს ეროვნული გვარდიის მაიორი, მე-16-ე ბატალიონის მეთაურის მოადგილე. 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე გვერდიდან არ მოშორებია კანონიერ ხელისუფლებას. შემდეგ იცავდა სამეგრელოს ხუნტის ჯალათებისაგან. იბრძოდა სამაჩაბლოშიც, აფხაზეთშიც.

1992 წლის 4 აპრილს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევთან ხუნტისტებმა მხეცურად მოკლეს.



აველინა დომენტის ასული პერტია — დაიბადა 1953 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდინექში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა თბილისში. 1988 წლიდან აქტიურად მონაწილობდა ეროვნულ მოძრაობაში. იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი, ვერაგულად მოკლეს პუტჩისტებმა 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში, მთავრობის სახლის წინ.



ანატოლ ნიკოლოზის ძე ლაგვილავა — დაიბადა 1952 წლის 28 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგოლიშში. იყო კეთილი, უბოროტო და სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული.

1989 წელს ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. ეროვნული გვარდიის შექმნის დღიდან მისი წევრია. იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, მკერდით იცავდა საქართველოს ერთიანობას, 1993 წლის ნოემბერში სასიკვდილოდ დაჭრეს ხუნტისტებმა.

კობა ზაურის ძე გოგუა — დაიბადა 1975 წლის დეკემბრში ქ. ზუგდიდში. 17 წლის ჭაბუკი აფხაზეთში, სამშობლოს ერთიანობის დამცველთა რიგებში, იარაღით ხელში, ჩადგა. სოფელ ტამიშთან დაჭრილ მებრძოლს მიეშველა, მაგრამ ბედმა უმუხთლა და თავადაც ტყვიით განგმირული დაეცა.



თენგიზ (კიროკი) იპოლიტეს ძე ბულია — დაიბადა 1956 წლის 3 იანვარს ქ. ზუგდიდში. უშიშარი მებრძოლი საქართველოს ერთიანობას იცავდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. მედგარი ვაჟკაცი სიკვდილსაც უშიშრად შეეგება და ხუნტელებთან უთანასწორო ბრძოლაში ვაჟკაცურად დაეცა.

დარჩა სამი შვილი.



ენვერ პალიკოს ძე კვარაცხელია — დაიბადა 1949 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში. ახალგაზრდული ასაკიდან სიმართლის გზით მოარული იყო. აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში და საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა შეისისხლხორცა.

1992 წლის 30 სექტემბერს ხობში ხუნტის ძალებთან შეტაკებისას დაიღუპა. დარჩა მეუღლე და ქალ-ვაჟი.

რამინ ავთანდილის ძე ჩანგელია — დაიბადა 1973 წელს ქ. ზუგდიდში. მიუხედავად იმისა, რომ რამინს კომენდანტის საათი არ დაურღვევია, 1992 წლის 6 მარტს, საღამოს, მხედრიონის“ წევრებმა და ოპოზიციონერმა მილიციელებმა მძევლად აიყვანეს.

1992 წლის 9 მარტს, გამთენიისას, აფეთქებულ შენობაში უდანაშაულოდ დაჭრილი რამინი შიგნით იქნა გაგუდული.

სრულიად საქართველოს მოძრაობა „ხსოვნა“ (თავმჯდომარე მადონა მაქაცარია), საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი „ოდიში“ (თავმჯდომარე გიგლა ჭედია).

რედაქცია მადლობას უხდის მათ მასალების მოწოდებისათვის.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი საუნჯე

ისტორიული მესხეთ-ჯავახეთი

ხერთვისი

...თუ არ იქნება ხერთვისი,
ვანის ქვაბები, ვარძია...
თავში უხლიათ ევროპა,
ამერიკაც და აზიაც!..
(პოეტის ლექსის პერეფრაზი)

სახელი ხერთვისი ორი მდინარის შეერთების ადგილის მიხედვით მიღებული ზმნის (ერთვის) ხანმეტი ფორმაა. ანტიკურ ხანაში აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელის სარდლებს ციხე-ქალაქი ხერთვისიც უნახავთ. ხერთვისის ციხე რთული, კარგად შემონახული ნაგებობაა. სადღეისოდ შემონახული ნაგებობები X-XIX საუკუნეებს განეკუთვნება. უკანასკნელ პერიოდში, ციხე ორი მთავარი ნაწილისაგან, ციტადელის და გალავნისაგან შედგებოდა. ციტადელს კლდის ვიწრო ქიმი უკავია და იცავს მაღალი შვეული კლდე. ციხის კოშკები კარგადაა დაცული. მკაფოდ გამოიყოფა მთავარი კოშკი-დონჟონი, კარგად დამუშავებული და დაწყობილი ქვით ნაშენი ნაგებობა. აღსანიშნავია ხუთგვერდა კოშკიც, რომელიც აღმოსავლეთის ბოლოს იცავს. ციხე სასმელი წყლით მარაგდებოდა ჩრდილო-დასავლეთით გაყვანილი გვირაბის საშუალებით.

ხერთვისი მრავალჯერ გადაკეთებული ციხეა. 1356-1366 წლებში საქართველოს მეფის მოლარეთუხუცესს ზაქარია ქამქამიშვილს ციხის კოშკი და გალავანი აუგია. XVI საუკუნეში ციხე ეკუთვნის ხერთვისარების ფეოდალურ საგვარეულოს. 1578 წელს თურქებმა სამცხე-საათაბაგოს სხვა ციხეებთან ერთად ხერთვისიც მიიტაცეს. 1828-1829 წლებში, რუსეთის თურქეთზე გამარჯვების შემდეგ ციხე საქართველოს დაუბრუნდა. იმ დროისათვის ხერთვისს, სხვა ქართულ ციხეებთან ერთად, უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა.

2007 წლიდან ხერთვისის ციხე შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

ვანის ქვაბები

ტეუდაბნოების ხანაში დაარსებულ ვანის, ანუ ვაჰანის ქვაბებში, დღემდე დაცული ეკლესია VIII საუკუნით თარიღდება. IX-XI საუკუნეებში, უდაბნოს ცენტრში წმინდა გიორგის ეკლესია და ქვაბ-სენაკების ახალი ჯგუფი გამოუკვეთიათ. 1088 წლის ძლიერმა მიწისძვრამ, დაანგრია ქვაბთა ნაწილი ტაძართან ერთად. 1191 წლისთვის ის უკვე სამეფო მონასტერია. თამარის მეფობის ჟამს დაუწყიათ ვანის ქვაბების რეკოსტრუქცია. მწიგნობართუხუცესმა ანტონ ჭყონდიდელმა 1204 წელს ქვაბების ძველი ქვითკირის ზღუდე აღადგინა. 1204-1283 წლებში, ვანის ქვაბებს მხარგრძელ — თმოგველთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა.

1265 წელს აუგიათ წმინდა გიორგის ტაძრის კარიბჭე, სამრეკლო და დარბაზული ეკლესია. ეს ადგილები 1551 წელს სპარსელებს, 1576 წელს კი ოსმალებს დაურბევიათ, რის შემდეგადაც სამონასტრო ცხოვრება სრულიად შეწყვეტილა.

ვანის ქვაბები, კლდეში თექვსმეტ სართულად ნაკვეთი ორასამდე გამოქვაბულია. სამონასტრო კომპლექსში შედის ექვსი ეკლესია, კლდეში ნაკვეთი სადგომები, ქვაბები, თავშესაფარი, საძვალე ეგვტერ-სამარხი და სამეურნეო დანიშნულების სათავსები. შემორჩენილია წყალმიმწოდებელი სისტემის ნაშთი, მხატვრობის ფრაგმენტები და ისტორიული მინაწერები. გამოვლენილია XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები.

გამოქვაბულთა ბოლო სართულის კედლებზე, შემორჩენილია XV საუკუნის, აქ შეხიზნული ქალების მიერ მელნით შესრულებული მხედრული წარწერები, სადაც გადმოცემულია ფრაგმენტები ძველი ქართული პროზაული და პოეტური ნაწარმოებებიდან.

ვარძია

...რა საჭრეთელი ჰქონდა,
კლდე რომ ქალაქად აქცია!..
(რინოს კვარაცხელია)



ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი ასპინძის რაიონის კიდურა დასავლეთ მონაკვეთს (ისტორიული ქვემო ჯავახეთი) მოიცავს და მტკვრის ულამაზესი ხეობის გასწვრივ, ხერთვისის ციხიდან ოლოდას მონასტრის ჩათვლით (საქართველო-თურქეთის საზღვარი) 30 კილომეტრზეა გადაჭიმული.

მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია არქეოლოგიური ძეგლების სიუხვითაც გამოირჩევა: აქ გამოვლენილია უძველესი ნამოსახლარები და სამაროვნები, დაწყებული II-I ათასწლეულების მიჯნიდან, ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების ჩათვლით.

ხეობის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებს შორის აღსანიშნავია ღია ცის ქვეშ აღმართული, საკულტო დანიშნულების, ქვისაგან გამოკვეთილი სტელები და ქვაჯვარები. მათი აღმართვის ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელების დროიდან (IV ს.) მომდინარეობს (ფია, ზედა თმოგვი, გიორგიწმინდა, VI-IX სს.). გვიანფეოდალურ ხანას (XVI ს.) მიეკუთვნება ქვის ხაჩკარები (დილიკა, მარგასტანი).

ამ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიულმა მნიშვნელობამ განაპირობა სამეფო რეზიდენციების, მონასტრებისა და სტრატეგიულ ნაგებობათა სიმრავლე. აქ აღმართულმა ციხე-სიმაგრეებმა (ხერთვისი, თმოგვი, ოლოდა). არაერთხელ მოიგერიეს მტერი. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ხერთვისისა და თმოგვის ციხეები, რომლებიც განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა.

ხეობის ლანდშაფტს განუმეორებელ სახეს კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების სიმრავლე სძენს. კლდეში კვეთის ტრადიცია შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქრისტიანოში გავრცელებული მოვლენაა, რომელიც ჯერ კიდევ წინაანტიკურ ხანაში იღებს სათავეს.

ვარძია — ოლოდას ტერიტორიაზე არსებულ გამოქვაბულთა ტიპები ტრადიციულია დ განსაკუთრებულ სიახლოვეს კაპადოკიის კლდეში ნაკვეთ კომპლექსებთან იჩენს. ისინი ქრონოლოგიურად სამონასტრო ცხოვრების ორ ძირითად პერიოდს ასახავს: VIII-IX და XII-XIII სს. გარდა კლდეში ნაკვეთი მონასტრებისა (ვანის ქვაბები, ჭოლთა, ოლოდა, სადაყუდებულო), აქ დაცულია როგორც საცხოვრებელი (გელსუნდა, მარგასტანი), ასევე XVI-XVIII სს. ლეპისას მიწისქვეშა სამალავ-საცხოვრებელი ქვაბულები, ცალკეული ეკლესიები (ვერტაში — თავკვეთილა, გაღმა ჭაჭკარის წმ. გიორგის ეკლესია, გამოღმა ჭაჭკარის ნახევრად გამოქვაბული, წმ. მარინეს ეკლესია და სხვა.).

კლდის არქიტექტურის არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ისტორიაში, გამორჩეული ადგილი ქალაქ-მონასტერს ვარძიას ეთმობა. იგი რთული გეგმარების მრავალსათავსიან, ცამეტსართულიან კომპლექსს წარმოადგენს, უზრუნველყოფილს წყალგაყვანილობის სისტემით და სასმელი წყლით, დერეფნებით, ქუჩაბანდებით, კიბეებით გაერთიანებული ანფილადური სისტემის საცხოვრებელი უჯრედებით. ვარძიის კომპლექსი გამოირჩევა ურბანული სივრცის ვერტიკალური ორგანიზაციით. კომპლექსში განსხვავებული დანიშნულების ოთახებიც გვხვდება: ე.წ. „აფთიაქი,“ „თამარის დარბაზი,“ „სალხინო“, „სატრაპეზო“, „საჯინიბო,“ და სხვა.

ვარძიის მთავარ ნაგებობას ანსამბლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული ღმრთისმშობლის მიძინების დარბაზული ეკლესია წარმოადგენს. ეკლესიის ინტერიერი მოხატულია, XII-XIII სს. მიჯნის მხატვრობა აღმოსავლეთ საქრისტიანოს ქვეყნებთან ან ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს. „მშრალი წესით“ (სეკკო), რელიგიური სიუჟეტების გვერდით მოცემულია თამარ მეფისა და მისი მამის, გიორგი III-ის პორტრეტები.

კლდეში ნაკვეთი ქალაქი — მონასტერი ვარძია, მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით, საინჟინრო ოსტატობითა და გრანდიოზული მასშტაბით, ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების გამორჩეული ნიმუშია.

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი სრულიად განსხვავებული ლანდშაფტითა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების არნახული სიუხვით.

საფარა

ნანახ-განცდილმა მოლოდინი
მთლად გადაფარა, —
ძველი დიდებით აღიმართა
ჩემ წინ საფარა...
(ვ. ძაძამია)

საფარა, როგორც სამცხელ ათაბაგ ჯაყელთა ერთ-ერთი რეზიდენცია, ერთ დროს ნამდვილ სიმაგრეს წარმოადგენდა. მონასტრის თავზე, დასავლეთით, დღესაც დგას ძველი ციხის ნანგრევები.

სამონასტრო კომპლექსის უმთავრესი ნაგებობაა წმინდა საბას ტაძარი — თლილი ქვით ნაგები გუმბათიანი ეკლესია. საფარის კომპლექსში შემავალ ნაგებობათაგან უძველესია მიძინების ტაძარი. იგი X საუკუნეში უნდა იყოს აგებული. წმინდა საბას ეკლესია კი სამი საუკუნის შემდეგ აუშენებიათ. ტექნიკურად შენობა ბრწყინვლედაა შესრულებული, არავითარი ნაბზარი არ ჩანს. ტაძარი გარედან მოპირკეთებულია თბილი ტონალობის მქონე ღვინისფერი ფილებით. ტაძრის მოხატულობა დიდადაა შელახული.

სამხრეთიდან წმინდა საბას ტაძარს ეკვრის მიძინების ერთნავიანი ეკლესია. ოდესღაც მთლიანად მოხატულ ეკლესიაში მხატვრობის ორიოდე ფრაგმენტია დარჩენილი. წმინდა საბას ტაძარზეა მიშენებული წმინდა გიორგის, პეტრე-პავლეს და წმინდა დიმიტრის სამლოცველოები. კომპლექსის უმნიშვნელოვანესი საკულტო ნაგებობაა წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის ქვეშაც ორი თაღოვანი სარდაფია. სამიარუსიანი სამრეკლოს პირველი სართული ანუ ლასურისძეთა საგვარეულო აკლდამა წმინდა მარინეს ეკლესიის სახელითაა ცნობილი. სამრეკლოდან ოთხიოდე მეტრის მოშორებით, კლდეზეა ნაგები იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. განმარტოებით დგას წმინდა სტეფანეს ტაძარი.

საფარა ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საეკლესიო ანსამბლია საქართველოში. ამ ეკლესიის კანკელი, რომელიც ქართული ხელოვნების პირველხარისხოვან ნიმუშთა რიცხვს განეკუთვნება, ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

მოამზადა ვალერი ძაძამიამ.

ექსკურსია ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთში (26-27.09.2014 წ.)

აი, ნანატრი პარასკევის დილაც დადგა. მოსწავლეები შესაშური პუნქტუალობით შევიკრიბეთ, ვინაიდან გული გვიგრძნობდა რომ წინ დაუვიწყარი, ამაღელვებელი ორი დღე გველოდა და დიდი ენთუზიაზმით ვიყავით განწყობილნი...

ჩვენი მარშრუტის ათვლის სათავე ვარძია იყო — კლდეში ნაკვეთი ქალაქი! შევდგით თუ არ ნაბიჯი არ ისტორიულ სამყოფელში, უცნაური გრძნობა დაგვეუფლა: უეცრად გადავეშვით, ჩვენი საფიცარი სამშობლოს შესანიშნავ წარსულში, თითქოს გავხდით თამარის ეპოქის ნაწილი!..

სიამაყის გრძნობა დამეუფლა, რომ მეც ერთ-ერთი ქართველთაგანი ვარ, მაგრამ ეს მხოლოდ პროლოგი იყო იმ ზღაპრისა, რომელშიც ჩვენ შევაბიჯეთ. ამით დასრულდა პირველი დღე...

მეორე დილას კი დავადექით გზას ვანის ქვაბულისკენ, სადაც საკმაოდ რთული და დამღლელი, მაგრამ საოცრად საინტერესო გზის გავლა მოგვიხდა, რომ შემდგომ ნეტარების წუთები გვეგრძნო. ვგულისხმობ ციცაბო კლდეზე გამოკვეთილ სამლოცველოში მოხვედრას.გარდა ამისა, მოვინახულეთ რაბათის რესტავრირებული კომპლექსი ახალციხეში, რომელსაც ცხადლივ ეტყობოდა თანამედროვე სტილი...

პირადად ჩემთვის სწორედ ვარძია იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი, მაგრამ სრულიად ეს ორი დღე იყო მოგზაურობა სხვა სამყაროში...

აქვე მინდა მომენტით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ამ საინტერესო ექსკურსიის სულისჩამდგმელს, ჩვენს საყვარელ დამრიგებელს, ქალბატონ ციალა სამუშიას, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო სრული პასუხისმგებლობა, უხელმძღვანელა ამ ესკურსიას და მოსწავლეებს გვაჩუქა უბედნიერესი წუთები... განცდები...

სალომე ხარებავა,
ობუჯის საჯარო სკოლის
XII კლასის მოსწავლე.

* * *

არსებობს ისეთი საინტერესო ღონისძიებები, რომლებიც ადამიანთა მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება, წარუშლელ კვალს ტოვებს და ყოველთვის ტკბილად მოგაგონდება.

სწორედ ასეთი დღე იყო პარასკევის დილა, როცა საყვარელ მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან ერთად გავემგზავრეთ სამცხე-ჯავახეთში.

პირველ რიგში ვესტუმრეთ ვარძიას. სიტყვები არ მყოფნის ნანახის გადმოსაცემად! მართლაც რისი გაკეთება არ შეუძლია ქართველი კაცის ხელს და გონებას!..

ენით აუწერელი სილამაზე ვიხილეთ არამხოლოდ ვარძიაში, არამედ ვანის ქვაბებში, ხერთვისსა და საფარაში!

მიუხედავად დამღლელი მგზავრობისა, თამამად შემიძლია ვთქვა, ეს ორი დღე მართლაც ლეგენდაში გავატარეთ და რომელიც მარად მემახსოვრება და ტკბილად მომაგონდება...

ასევე მინდა მეც ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ამ ექსკურსიის ორგანოზატორებს და ვუსურვო წარმატებები, კვლავ არაერთხელ მოეწყოთ მსგავსი საინტერესო ექსკურსიები მოსწავლეებისათვის!

თამუნა კაკაჩია,
ობუჯის საჯარო სკოლის
XII კლასის მოსწავლე.

რუსუდან ურიდია:

ღმერთო, შენ გადამირჩინე საქართველო და ქართველი

რუსუდან ურიდიას მშობელი ქვეყნის სიყვარულით გამთბარ ლექსებს უკვე იცნობს მკითხველი. (ალმანახი „ქიაჩის ხატი“ №2, 2004 წელი, გაზეთი „ნოჯიხური“ №27, 2013 წ.).

მკითხველს, ალბათ, ისიც ახსოვს, ქალბატონ რუსუდანს, წლების განმავლობაში, ემიგრაციაში რომ მოუწია ცხოვრებამ... ბუნებრივია, სამშობლოს ნოსტალგია მას ხშირად მოსძალებია, რაც კარგად აისახა მის ლექსებში...

2012 წლის შემოდგომაზე სამშობლოში დაბრუნებულს შევხვდით მშობლიურ ობუჯში. გავიხსენეთ ბავშვობა, სკოლის წლები (თანაკლასელები ვართ). როგორც მაშინ, ახლაც მისი შემოქმედების შთაგონების წყაროა: ისტორიული „სამცაცხვი“, „ბროლია,“ მაგნოლია, თეთრი ჭადარი...

ქალბატონმა რუსუდანმა მეუღლესთან ერთად სამშობლოს სამი შვილი აღუზარდა. მალე „ტრიჟდი ბაბუშკა“ გავხდებიო, — გვითხრა ღიმილით... ღმერთმა უსმინოს!..

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ლექსებსა და კაფიებს რუსუდან ურიდიას შემოქმედებიდან.

ვ. ძაძამია

* * *

დაბერებულან „სამცაცხვის“ ხენი,
ხავსი კენწეროს ასდევნებია,
საუკუნოვან ქარტეხილებში
ფესვთან ფულუროც ჩაჰღრმავებია.
უზარმაზარი ტოტისტოტები
წლობით ცამდე რომ აუზიდია,
ახლა წვეროღა თუ ეფოთლება,
ჟამი იცვლება, — დრონი მიდიან...
წარსულის უტყვი მემატიანე
დგას აჩრდილივით სილუეტებად,
გამოხრულა და გამოფიტულა,
ეჰ, წასაქცევად ვერ მემეტება.
წაუქცევია დროს მაგნოლია,
ჩემი ბავშვობის თეთრყვავილა ხე.
გული დამწყვიტა სიცარიელემ,
მის ნაფესვარზე რომ დავინახე.
დაბერებულა თეთრი ჭადარიც,
აღარ შრიალებს ჩვეული ეშხით,
გადახრილ ცაცხვის გამომხმარ ტოტებს
გვერდს შესდგომია როგორც ნუგეში.
იხუნძლებოდა ბუდე ბარტყებით,
რთავდა ყოველ ტოტს როგორც ყვავილი.
ახლა ყვავები თუ წაუფრენენ
მაღლა კენწეროს ჩხავილ-ჩხავილით...
ჟამი იცვლება, დრონი მიქრიან,
თაობებს შეცვლის ისევ თაობა,
სოფლის სიმბოლო — „სამცაცხვის“ ბედი
არ უნდა დარჩეს არარაობად.
ასე უკვალოდ არ უნდა გაქრეს
სოფლის სვე-ბედთან ხე წილნაყარი.
დროა, გამოჩნდეს მათ ნაფესვარზე
ახალი ნერგის წამონაყარი...

ობუჯი, 2012 წ.

* * *

მე ნოსტალგიით უკვე არ ვცხოვრობ,
სიხარულს უფრო თუ ვეძალები...
სამშობლოში ვარ, მეფერებიან
ჩემი ბავშვობის ნატერფალები.
მე, ნოსტალგიით უკვე არ ვცხოვრობ,
მშობლიურ ზეცას მშვიდად ავცქერი,
მთის წვეროდანაც, ათინათებად
მელიცლიცება თოვლის ნამქერი...
მე, ნოსტალგიით უკვე არ ვცხოვრობ,
მშობლიურ მიწის ოხშივრით ვთბები.
აქ, ყველა ქვას და ხავსიან ხესაც
ფესვის ძარღვებში შემოვევლები!

ობუჯი, 2012 წ.

პაპუჩის!

(ჭიჭიკო ურიდიას — 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით)

მე მაპატიე, რომ იუბილარს
ამ სიშორიდან გეალერსები.
მე მაპატიე, რომ ჩემს მაგივრად,
ჩემს სათქმელს გეტყვის ჩემი ლექსები.
მე მაპატიე — ეგ მონატრება
მე მაპატიე — რაც დაგაკელი,
წლებს გაყოლილი — ჩემგან კუთვნილი,
რამდენი თბილი სიტყვა უთქმელი...
ვეღარ დავუთმობ მე შენს სიყვარულს
ვერც დროის ტრიალს და ვერც სიშორეს,
შენს კეთილ ამაგს, მამაშვილობას,
მე ჩემს ბავშვობას ვინ დამაშორებს.
მე ვენაცვალე შენს ჭარმაგ სახეს
და ყოველ ღეროს შენი ჭაღარის...
გკოცნი, გეხვევი და მოწიწებით
დამილოცნიხარ იუბილარი!

ტულა, 2004 წ. მარტი.

ვისაც ჯერ არს...

ვინც ქართველი სამშობლოში
ლტოლვილებად აქცია,
ვინც მამული გაგვიყიდა,
კერა ვინც დააქცია,
ვინც სხვას ათბობს ძმათა სისხლის
მოგიზგიზე კოცონზე,
ქართველობა ვინც გაცვალა
ბაბილონის გოდოლზე.
ქართულ სულის უკვდავებას
ვინც კი განზე განუდგა,
მართალ სიტყვას — შიშველ ხელებს
ტყვიით წინ ვინც გადუდგა.
ვინც ეცადა ქართველობის
დაცემას და ჩაწიხლვას,
ერის სულში ჩაფურთხებას,
საფლავების წაბილწვას.
ქართველ ერის უკვდავებას
ტყვია ვინც დაუმიზნა,
საქართველოს ბოკვერები
უცხო ქვეყნებს შეხიზნა.
კოლხურ კოშკის წმინდა ტაძარს
დანაცრება აკადრა,
საქართველოს დიადემას
ვინაც ბილწი წიხლი ჰკრა...
სამაჩაბლოს ვინც შეახმო
სისხლი ქართველ ბიჭების,
გუმისთასთან ვინც აღმართა
ზღუდე მიუტევები.
ვინც გათიშა კუთხეებად
სამეგრელო, გურია...
ვისაც ერის აღგავებით
„გიორგობა“ სწყურია.
ვინც ქართველი დედის ძუძუ
შხამად გადააქცია,
ყრმა ბიჭები სამშობლოში
„მამლუქებად“ აქცია...
ქართველ დედის წმინდა მანდილს
ფეხი ვინც დააბიჯა,
დედის თვალწინ დედისერთა
ვინაც ტყვიით განგმირა.
მეგრელ დედის ტკბილი ნანა
ვინაც გლოვით შეცვალა,
ნანა სკუას ტკბილი ჰანგი
ვავა სკუაში გაცვალა...
ვინც შეცვალა დენთის სუნით
წმინდა სანთელ-საკმელი,
ჯერ დახოცა, მერე სულებს
ვინც აუნთო სანთელი.
უფლისაგან წილხვედრ მიწას,
წმინდა ალაგს მადლიანს,
ჩვენი ძვლების ძვალთშესალაგს
თვალხელშუა გვაცლიან...
ვინც ქართული მიწა-წყალი
ასე უღვთოდ დაჰყიდა,
საქართველოს მომავალი
ბენვის ხიდზე გაჰკიდა,
ვინც მოშალა სამშობლოში
ტკბილი მრავალჟამიერ, —
განეკითხოს ცოდვა-მადლი
იმიერ და ამიერ!..

თბილისი — ტულა

კაფია

დალი დადიანი —
გგონია ასე სულ ინავარდებ,
დროს არ უცქერი? — ფეხდაფეხ მოგდევს,
უკან მოხედვას ვერც კი მოასწრებ
და მოკლე ხანში კიდეც გაგასწრებს.
რუსიკო ურიდია —
ეჰ, ჩემო დალი! — რატომღაც
სულს სევდა შემოგპარვია,
რას ვიზამთ — წუთისოფელში
ხან ავდარია – დარია,
მუდამ ნავარდი ჩიტსაც ვნებს,
ვინ თქვა — ცხოვრება ლხინია,
რამდენჯერ ავტირებულვართ
იმდენჯერ გაგვიცინია.
დროსთან ჭიდილი არა ღირს,
დრო დროით გამოცდილია,
ჩვენი ცხოვრება წინასწარ
უფლისგან დაწერილია.
დალი დადიანი —
ღრუბელს მოვტაცებთ მზერას თუ
მზე გადმოგვიგდებს ერთ ცალსხივს,
გვახსოვდეს ხალხო,
— ვინა ვართ?
— ფოთოლნი,
— რის?
— ცხოვრების ხის.
რუსიკო ურიდია —
ვინ არ იცის შემოდგომით
ფოთოლი რომ ყვითლდება,
გაზაფხულზე კვირტს დაიყრის,
მწვანედ ამოიშლება.
ყველა, დროის შვილები ვართ,
ნორჩიცა და ჭაღარაც,
მთავარია, ხის ფესვები
ვინ? სად? როდის? — ჩაყარა.
ცხოვრების ხის ფოთლები ვართ,
ასე იყო, იქნება.
რას გავაწყობთ, — უფალ ღმერთმა
თუკი ასე ინება.
დალი დადიანი —
ჩემო დაიკო რუსიკო,
ცხოვრებამ გული გამიღო,
მართლაც ცხოვრების ავ-კარგმა
გულის ნაგლეჯიც წაიღო...
რუსიკო ურიდია —
რატომ გვგონია ოკეანეში
ზვირთებს ფერდები არ ეცრიცებათ,
ყველაფერსა აქვს თავის ნაპირი,
ერთხელ დაცემაც და აზვირთებაც.
ცოდვილ მიწაზე ერთხელ მოვდივრთ,
ცოდვილ მიწაზე ერთხელაც ვკვდებით,
სიცოცხლეში თუ სულსა გავსტანჯავთ.
ცოდვილ მიწაზე ცოდვად დავრჩებით.
სიკვდილ-სიცოცხლის რთულ გასაყართან
ყველა ჩვენგანი თანასწორია,
მთავარი არის არ ჩაგვითრიოს
დაღლილი სულის ეიფორიამ.
დალი დადიანი —
რომ ისევ შენი ხელწერით და
ფეხის აწყობით,
ჩადგე ფერხულში ამა ქვეყნის
ამა ცხოვრების,
არ დაიკარგო, სულ არ გაქრე,
არ წაიშალო,
„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს...“
რუსიკო ურიდია —
ეს იყო ჩემი გულის წადილიც,
ცოცხალი მკვდარს რომ არ დაემსგავსოს,
ცხოვრებამ აღარ გაგვაბოროტოს,
ხვალის იმედი არ მოგვეშალოს...

გობრონი

1100 წლის წინ (914 წლის 19 ოქტომბერი — 17 ნოემბერი) არაბებმა უკანასკნელად ილაშქრეს საქართველოში. მტრის ლაშქარს მოუძღოდა სარდალი აბულ-ყასიმი. სარკინოზთა იერიშებს 28 დღე იგერიებდნენ ქართველები, ახალგაზრდა მხედრის — გობრონის მეთაურობით, რომლის სიმამაცეს მტერიც და მოყვარეც განეცვიფრებინა...

სიტუაცია ერთობ რთულ იყო:
სისხლით გაივსო ჭალა-ხევები,
რამეთუ ქართლში დაწყებულიყო
აბულ-ყასიმის შემოსევები...
...და სარკინოზთა „დიდი მესია“
„ურიცხვთა სპითა“ ქართლში მოვიდა,
უკანასკნელად შემოესია, —
წელს ცხრაასთოთხმეტს, ქრისტეშობიდან.
ვინ უწყის: მტერთა რისხვის,
მსჯავრის დღეს
თავს გადაირჩენს ქართლი ადვილად?..
ჯერ იქ, სომხეთში, აბუსაჯის ძემ
მეფე სუმბატი ხმალით განგმირა...
...ქართლს შემოენთო ცეცხლის ალისებრ,
სთქვა: „... მაჰმუდის რჯულს
იქაც მივიტან!..“
შემოეგება ჯაფარ ალის ძე,
როცა ყასიმი ტფილისს მივიდა...
ურჩებს წილად ხვდათ მძიმე როზგები,
რადგნ ქართველნი თვის
სჯულს იცავდნენ!..
ტფილისის შემდეგ სარკინოზები
წამოემართნენ კახეთისაკენ...
მოაოხრებენ, — ასე ჰგონიათ, —
ზათქით მოადგნენ უჯარმის ციხეს,
შტურმს წარმატება არ მოჰყოლია,
თუმც სხვანაირად ეგონათ ბრიყვებს!..
შემოტევები ბოლოს დასრულდა...
როცა „მომართეს“ გურზი და ხმალი, —
განკარგულება უმალ აღსრულდა —
ბოჭორმისაკენ გაიჭრნენ სპანი...
„... დამნებდით!.. სისხლს არ დავღვრი
კვირადღეს! —
ამის გარანტი, გეტყვით, თვითონ ვარ!“
და ერისთავმა კახთა — კვირიკემ
აბულ-ყასიმთან ზავი ითხოვა...
მან გადმოლახა თეთრი არაგვი,
კვლავ კმაყოფილი დარჩა „მესია“,
წამოემართა უკან არაბი
და მთელი ძალით ქართლს შეესია...
უფლისციხიდან მოვიდნენ სამცხეს,
შეიბნენ... ბრძოლა გახდა ფიცხელი! —
და ქართველებმა სარკინოზთ დასცხეს,
დაუტრიალეს სიკვდილის ცელი!..
გორდა ხმლის ძალა მტერს დაანახვეს,
უკანდამხევი იყო არავინ!!! —
თმოგვს, ცადაზიდულს, ვერრა დააკლეს
და უკუიქცნენ ისევ არაბნი...
ქართვლის ხმლის ძალა „იგემს,“ ნახეს,
გაოცებულნი ჭვრეტდნენ მათ სიმხნეს...
მერე აუყვნენ ძარცვით ჯავახეთს
და შემოადგნენ ყუელის ციხეს.
რეკდნენ ძალუმად დედოზარები...
მამულს დაუდგა ჟამი მწარენი, —
და დაიფარა თეთრი კარვებით
ყუელის ციხის შემოგარენი...
ქართველთ არ აკლდათ თუმცა მხნეობა! —
მაგრამ გზა ხსნისა იმ დღეს კრულ — იყო;
მრავალტანჯული მოსახლეობა
შავშეთ — აჭარას გახიზნულიყო...
რისხვას, ვით შიმშერს, ცაში აწვდენილს,
რომ ვეღარ მალავს „მაჰმუდის ძეა,“ —
მათ შემოტევებს გმირი დამცველნი
იგერიებენ — 28 დღეა!..
სარკინოზებთან არ დააყოვნეს
შებმა, რაც არ ჰგავს ზღაპარს მოგონილს, -
რამეთუ იმ დღეს მეციხოვნეებს
მეთაურობდა გმირი გობრონი!..
ძალა აჩვენეს, თანაც როგორი! —
მათ სარკინოზნი სულ მთლად მოთხარეს,
და სიმამაცე გმირი გობრონის
უკვირდა ყველას — მტერს და მოყვარეს!..
დიდხანს გაგრძელდა ისართ სროლები,
მტერს მაინც ზურგი მათ არ ანახეს
და ქართველები მძიმე ბრძოლებით
ჩეხდნენ, კაფავდნენ, ჟლეტდნენ არაბებს...
ველურ ყიჟინით, ვითარც მონღოლნი, —
მათ ნანგრევებად ზღუდე აქციეს, —
წინ გამოიჭრა ისევ გობრონი,
მტერი შეტევით უკუაქციეს...
უთანასწორო, ფიცხელი ბრძოლა
არ შეწყვეტილა არც ერთი წამით...
რაი სჯობს ასეთ ვჟკაცთა ყოლას?! —
გაივსო ციხე არაბთა გვამით...
თუმც საღამომდე გაგრძელდა ხოცვა,
მტერი კვლავ ციხის კარიბჭეს ეცა, —
აუარება ისართა ტყორცნამ
მთლად დააბნელა ქართული ზეცა.
ისმოდა გმინვა მაღალ მთებისა
და სისხლის თქეში რეცხავდა ველსა...
და ერთი მუჭა ქართველებისა
უკანასკნელად შეება მტერსა!..
გასაგებია, რაც მერე მოხდა,
რომ ქართველობა მტერს არ დანებდა! —
„მომგვარეთ მხოლოდ გობრონი
ცოცხლად!“ —
აბულ-ყასიმის იყო ბრძანება.
გრგვინავდა, ვითარც ზეცაში მეხი,
ციხეს შეხედა განაოცებმა...
ქართველნი (ასზე ცოტათი მეტნი)
ცოცხლად შეიპყრეს სარკინოზებმა.
... და მოიქუფრა ღრუბლებით მთანი,
სიკვდილის ქარი მუსრავს ამ კუთხეს...
ყასიმმა ბრძანა: „შუბით, ისარით
ტყვეები ჩეხეთ, ჩაანაკუწეთ!..“
გობრონ იხილა... აღივსო შურით...
და ფლიდი მზერით შავ ზრახვებს ამხელს:
„პატივს მიიღებ, დაჰგმეო სჯული!“ —
ის არწმუნებდა ქრისტიან — ქართველს!..
„გაოცებული რატომ მიყურებ? —
როგორ იცვლება, ხედავ, დროება?..“
უთხრა გობრონმა: „ვერ მაიძულებ
გამოვიცვალო სარწმუნოება!..“
წუთი წუთს მისდევს, ჟამი არ იცდის, —
სული სატანის აღზევდა იმ დღეს...
გამოიყვანეს გარეთ რაინდი
და ტყვეთა ხოცვა მის თვალწინ იწყეს...
სისხლის ძლიერი წვიმა მოვარდა
და უღებავდა წამებულს სახეს,
ქართველთ თავები ფეხთან გორავდა,
თუმც ქედდრეკილი გობრონ ვერ ნახეს!..
ყველას თიბავდა სიკვდილის ცელი,
შეთე ბღაოდა: „ვერ შემიცანი!“
იდგა გობრონი ფერშეუცვლელი,
ვით ქვის ქანდაკი, ურყევი ტანით!..
უკანასკნელი მზერა ციხეზე...
გაავებული ეშმას ძახილი...
თმებით ათრიეს... ფიქალ კისერზე
ორჯერ მსუბუქად დასცეს მახვილი!
წამებულს სცემდნენ კვლავ გახელებით,
ამ დროს ყასიმმა ჰოი, რა ნახა? —
მან შეიღება სისხლით ხელები
და შუბლზე ჯვარი გამოისახა!..
როს გონს მოვიდნენ, ყასიმმა უთხრა,
(უკანასკნელად უთხრა რამეთუ):
„ქრისტეს განუდექ, ჯიუტი ნუ ხარ!“ —
რისხვით მიმართა გობრონ — წამებულს.
მისი აზრები... სიბრძნე... გონება...
უძლიერებდა რწმენას მოკეთეს!..
არ შეისმინა მან „შეგონება,“
გაიყვანეს და თავი მოჰკვეთეს...
.....
სისხლდანთხეული სამარეს იწვა
გმირი, მარადჟამს რისხვა მტრისათვის!
გულზე ეფინა ქართული მიწა
მას, თავგანწირულს, მამულისათვის!..

ვალერი ძაძამია,
15-19 ღვინობისთვე, 2014 წ.

სურათზე პირველ რიგში: გიორგი ძაძამია, გია კაკაჩია, რეზო ხარებავა;
მეორე რიგში: თამუნა კაკაჩია, ნინო საჯაია, სოფიო ფიფია, თამარ კაკაჩია, სალომე ხარებავა,
ციალა სამუშია, ავთანდილ ფიფია, ვალერი ძაძამია, მანანა კაკაჩია. ვარძია, 26.09.2014 წ.

სურათზე პირველ რიგში: ნინო საჯაია, ილია ძაძამია, მანანა კაკაჩია;
მეორე რიგში: გიორგი ძაძამია, რეზო ხარებავა; თამარ კაკაჩია, სალომე ხარებავა,
თამუნა კაკაჩია, ვალერი ძაძამია, ციალა სამუშია. საფარა, 27.09.2014 წ.

ტკივილი, რომელმაც გულში ჭრილობა დატოვა



მასწავლებელს ყველა მოსწავლე უყვარს, მაგრამ გამორჩეულად ისინი, ვინც მის საგანს მონდომებით სწავლობს, ყოფაქცევით სანიმუშოა.

ასეთ მოსწავლეთა რიცხვს განეკუთვნებოდა, ვაგლახ, რომ განეკუთვნებოდა **რამაზ კონჯარია.**

პიროვნება, რომელიც მოსწავლეობიდანვე გამორჩეული იყო მიზანსწრაფულობით, პუნქტუალობით, პასუხისმგებლობის გრძნობით.

დღემდე მახსოვს რამაზის შესრულებული საშინაო, თუ საკონტროლო ნამუშევრები, როგორ ლამაზად, კოხტად და ზუსტად ასრულებდა დავალებას. არ მახსოვს დღე, როცა რამაზმა გაკვეთილი არ იცოდა. ის ჩემს სადამრიგებლო კლასში იყო და ბოლო კლასში ორგანიზატორად აირჩიეს. მის მერე კლასში ყოველთვის იყო სისუფთავე, არ იყო საძებნი ცარცი და ჩვარი და ყოველივე ამას აკეთებდა ჩუმად, უხმაუროდ.

ასე ჩუმად გადიოდა თავის წილ ცხოვრებას. სხვებზე მზრუნველი, მხარში ამომდგომი, ზრდილობიანი, განათლებული, არ შეიძლებოდა დაგეხასიათებინა ეს ფიზიკურად და სულიერად ლამაზი ვაჟკაცი.

რა მუხთალია ზოგისათვის წუთისოფელი. ტრაგიკულად დაიღუპა შესანიშნავი პიროვნება, ადამიანი, რომელიც ეიმედებოდათ მშობლებს, ახლობლებს, სოფელს.

იმდენად დიდი იყო ეს ტკივილი, მან გულში ისეთი ღრმა ჭრილობა დამიტოვა, რომელიც ალბათ მთელი სიცოცხლე არ შეხორცდება.

მანანა კაკაჩია, პედაგოგი.

ხსოვნაში მუდამ იცოცხლებ, რამაზ!

ძალიან მიმძიმს წარსულ დროში შენზე ლაპარაკი, რამაზ!

ასე მეგონა, სიცოცხლით სავსე ჭაბუკი შენს საყვარელ ადამიანებთან მუდამ იტრიალებდი, როგორც ყოველთვის გჩვეოდა, იზრუნებდი მათზე, გააგრძელებდი საოცარი სიკეთის უშურველად გაცემას...

შენ ხომ მუდამ სიკეთესა და სიყვარულს აფრქვევდი, ყველას უყვარდი, ვინც შენ გიცნობდა და ვისთანაც გიმუშავია...

... სკოლის დამთავრებიდან ორი ათეული წელია გასული, მაგრამ შენი საოცარი ნიჭიერება ახლაც მაოცებს... ობუჯის საშუალო სკოლაში სიბეჯითით, ცოდნისადმი დაუოკებელი სწრაფვით, გასაოცარი უნარით უპირველესი იყავი, როგორც იტყვიან, ბადალი არ გყავდა!..

ვის მოუვიდოდა აზრად, რომ შენი სიცოცხლე ოცდაჩვიდმეტ ზაფხულს ვერ გასცდებოდა... რა უბედურია შენი მშობლები...

ვაი, რომ შენი ასე საშინელებით წასვლის სიმძიმილს დრო ვერ შველის...

როგორი დაწყევლილი ყოფილა ის დღე... უკანასკნელ გზაზე შენს გასაცილებლად ზღვა ხალხი მოვიდა, როგორ ყვარებიხარ ახლობლებს, ამხანაგებს, მეგობრებს, ნაცნობებს...

შენს მრავალრიცხოვან ოჯახში სიკვდილმა შეაბიჯა, მწუხარებამ დაისადგურა...

შენს ჭაბუკურ ოცნებებს და ლამაზ სიცოცხლეს რა დაუნდობლად შეეკვეცა ფრთები...

უფალს შევთხოვთ შენი სპეტაკი სულის ნათელში დავანებას...

ჩვენს ხსოვნაში მუდამ იცოცხლებ, რამაზ!

ციალა სამუშია, პედაგოგი.

იუბილე

ძალოსანი გულიკო კაკაჩია 75 წლისაა



სოფელ ობუჯის მკვიდრს, ძალოსანსა და კინომექანიკოს, გულიკო ვარლამის ძე კაკაჩიას მიმდინარე წელს 75 წელი შეუსრულდა.

გულიკო კაკაჩიას სპორტული კარიერა 1963 წელს, 24 წლის ასაკიდან დაიწყო. მისი გასაოცარი ძალა და აკრობატიზმი ცნობილია მთელს ქვეყანაში. 1969 წელს პირველი ცდა ფიცარნაგზე ავტომობილის გადაყვანისა, წარმატებით დაგვირგვინდა. „მსუბუქ ავტომობილებთან „ჭიდილში“ 167-ჯერ გავიმარჯვეო“ — იხსენებს ერთ-ერთ ინტერვიუში.

გულიკო კაკაჩიას წარმატებები ხშირად ასახულა როგორც საკავშირო, ასევე რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. აი, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებიდან რამოდენიმე მათგანი: „Великан из Грузии“ („Московский комсомолец“, 1973 г.); „Вот это да!“ (ленинский шахтер“, 1975 г.); „Чемпион Сибири“ („ленинская правда“, 1979 г.); „მისი გატაცებაა გირებთან ჭიდილი!“ („კომუნისტი“, 1976 წ.); „კინომექანიკოსი გატაცებულია სპორტით!“ („სოფლის ცხოვრება“, 1977 წ.); „აი, რა შეუძლია სპორტს“ (გაზ. „ნაპერწკალი,“ 1982 წ.); „მოყვარული სპორტსმენი“ („კომუნისტი“, 1983 წ.); „მოყვარული სპორტსმენის გატაცება“ („კომუნიზმის დროშით,“ 1985 წ.); „წალენჯიხელი გოლიათი“ (ჟ. „დროშა“, 1989 წ.) და მრავალი სხვ.

გულიკო კაკაჩია პირადად იცნობდა და მეგობრობდა მსოფლიოში ისეთ აღიარებულ, სპორტსმენებთან, როგორებიც არიან მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური და სსრკ-ს ჩემპიონები შტანგის აწევაში: ვასილ ალექსეევი, სოსლან ანდრიევი, იურიკ ვარდანიანი, ქართველი მოჭიდავე, მონრეალის 1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი.

1986 წლის თებერვალ-მარტში ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ გულიკო კაკაჩია მიიწვია კინოფილმ „ექვსი თოვლიანი დღის“ გადაღებაზე დაბა ყაზბეგსა და ფასანაურში. გადაღებაზე მოწვეულ იყვნენ: მოსკოვის ცირკის ცნობილი მსახიობი ქალი ლუბოვ კუდრიავცოვა, ქართველი მსახიობები: გ. საძაგლიშვილი, ვ. ბურდული, ს. ჯაჭვლიანი, ლ. ფილფანი, ლ. თათარაიძე, ვ. ქუთათელაძე, თ. სხირტლაძე, ბ. წიფურია.

გულიკო კაკაჩია ფილმში ძალოსან ასკალონ ოდიშარიას როლს თამაშობს, გირებსა და დათვს ეჭიდება და იმარჯვებს. ფილმი პოპულარული გახდა საბჭოთა კავშირში. ცენტრალურმა ტელევიზიამ მაყურებლებს ფილმი არაერთხელ უჩვენა. გადამღები რეჟისორი იური კვაჭაძე გახლდათ.

ძალოსანი 8 თასისა და 10 მედლის მფლობელია. გულიკო კაკაჩიამ 1978 წელს საქართველოს სსრ-ის დაარსების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ღია ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და საპატიო პრიზი აიღო, ხოლო 2000 წელს საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

გულიკო კაკაჩია დღესაც ინტენსიურად ვარჯიშობს, იგი ხშირად გეგმავს საინტერესო ღონისძიებებს ძალოსნობაში.

„ნოჯიხურის“ რედაქცია მრავალრიცხოვან გულშემტკივრებთან ერთად ულოცავს იუბილარს ლამაზ თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას დ მორიგ წარმატებებს გულშემატკივართა გასახარად!

ვალერი ძაძამია

ნ ო ჯ ი ხ უ რ ი
რედაქტორი — ვალერი ძაძამია
„ნოჯიხურის“ მისამართი:
წალენჯიხა — ობუჯი. ლეო ქიაჩელის №37.
ტელ: 591 91-32-89; 790 87 83 94
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან
აწყობა და დაკაბადონება — თეა მიშველია
ტელ: 555 49 22 07; 555 50 40 88